619
1955
ეროვნული
ბიბლიოთეკა



# დროშა

№ 6 ივნისი 1955





**რევაზ მარგიანი**

# ჩვენი კავკასიონი

*რასულ გამზატოვს*

კავკასიაში მთაა მრავალი, —
სერი, გორაკი და ნაქერალი,
ჩვენი სიმტკიცე და ბალავარი,
ჩვენი დიდების ბევრი მწვერვალი.

კავკასიაში მთაა მრავალი
და არწივები მთას გამყივარი,
ირგვლივ გვარტყია, ვით გალავანი,
ბევრი შხელდა და ბევრი მყინვარი.

აქეთ გომბორი. იქით ზეკარი,
და უთვალავი ქედი მაღალი,
ბევრი მდინარეც დაუდეგარი,
გაზაფხულების გიჟი მაყარი.

მთებს—გოლიათებს. აწვდილ ხელებით,
დაუფლეთიათ ცის აბრეშუმი,
მკერდზე მიუკრავთ აქ იმერეთი
და იქით კიდევ რაჭა-ლეჩხუმი.

ცას შუბლით ხევენ, ცად ისწრაფვიან
და დაყრდნობიან ერთურთს მკლავებით,
თოვლიან მკერდზე გადუხატიათ
გაჩაღებული ცის ვარსკვლავები.

ჩვენ წყალგამყოფი ქედი გვამშვენებს
და მწვერვალები, ცას რთმ ფატრავენ.

ჩვენს მდინარეებს და ჩვენს ჩანჩქერებს
ერთი ძუძუ აქვთ, ერთი სათავე.

ერთი გვაქვს ზეცა და ცისკიდური,
ვართ მზის ამოსვლის მახარობლები
და ხურჯინივით გადაკიდულან
კავკასიონზე ჩვენი ყოფლები.

პურიც, სათიბიც, ყანაც ზიარი...
ჩვენ ერთი მოდგმის ვართ ნატეხები,
ჩვენ გაზრდილი ვართ ყინულიანი,
აქაფებული თერგის შხეფებით.

კავკასიონის ქედი ელვარებს,
გამოგვყვა მისი სული მღელვარი,
ჩვენ თვითონ ვგავართ ამაყ მწვერვალებს,
ყველა ჩვენგანი არის მწვერვალი.

ჩვენ შევეზარდეთ თავისუფლებას,
მან გამოგვიწრთო გული მედგარი,
ქვეყნიერებას ვესაუბრებით,
კავკასიონის ქედზე შემდგარი.

დიდება ძმათა ბედნიერ ოჯახს,
ხარობდეს კერა მშვიდობიანი,
ლენინის დროშას, სტალინის დროშას
კავკასიონზე გააქვს ფრიალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაისის ბოლო რიცხვებში საქართველოს მწერალთა კავშირის მოწვევით ჩვენს რესპუბლიკას ესტუმრნენ ჩრდილოეთ კავკასიის მოძმე ხალხთა ლიტერატურის წარმომადგენლები.

ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიმართა დიდი ლიტერატურული საღამო, რომელშიაც ქართველ მწერლებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს დაღისტნის, ჩრდილოეთ ოსეთის, ყაბარდოს, ჩერქეზეთისა და ადიგეის მწერლებმა.

**ფოტოზე — ზემოდან ქვემოთ: ლექსებითა და მისასალმებელი სიტყვებით გამოდიან: რასულ გამზატოვი (დაღისტანი — ხუნძახი), მაქსიმ ცაგარაევი (ჩრდ. ოსეთი), ალიმ კეშოკოვი (ყაბარდო) და აბუტალიბ გაფუროვი (ლეკი — დაღისტნის სახალხო პოეტი).**





КОНТРОЛЬНЫЙ ЭКЗЕМПЛЯР

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

№ 6 (47) ივნისი 1955 წ.

გამომცემლობა „კომუნისტი“
გამოცემის IV წელი

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ამხანაგ ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე ბულგანინს

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მხურვალედ მოგესალმებიან თქვენ, ლენინის ერთგულ მოწაფეს და სტალინის თანამებრძოლს, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილ მოღვაწეს — თქვენი სამოცი წლისთავის დღეს.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხალხი დიდად აფასებენ თქვენს დამსახურებას საბჭოთა სახელმწიფოს მშენებლობისა და სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისათვის ბრძოლაში, ფაშისტ დამპყრობლებზე გამარჯვებისათვის და ჩვენი სამშობლოს ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

პარტიული და სახელმწიფო მოღვაწეობის ყველა პოსტზე თქვენ დაუცხრომელი ენერგიით და მაღალი პრინციპულობით ახმართ მთელ თქვენს ძალებს კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეს.

სულით და გულით გისურვებთ თქვენ, ჩვენო მეგობარო და ამხანაგო, ჩვენო ძვირფასო ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძევ, ჯანმრთელობას და მრავალ წელს შემდგომ ნაყოფიერ მოღვაწეობას საბჭოთა კავშირის ხალხთა საკეთილდღეოდ, კომუნიზმის საკეთილდღეოდ.

**საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი**

**სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო**

## ბრძანებულება

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### ამხანაგ ნ. ა. ბულგანინისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ ნ. ა. ბულგანინის დაბადების სამოცი წლისთავის გამო და კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის წინაშე მისი თვალსაჩინო დამსახურების აღსანიშნავად, მიენიჭოს ამხანაგ ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე ბულგანინს სოციალისტური შრომის გმირის წოდება და გადაეცეს მას ლენინის ორდენი და ოქროს მედალი „ნამგალი და ურო“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
**კ. ვოროშილოვი**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
**ნ. პეგოვი**

მოსკოვი, კრემლი. 1955 წლის 10 ივნისი.

## საქართველოს საბჭოთა მხატვრების მესამე ყრილობა

მაისის ბოლო რიცხვებში თბილისში ჩატარდა საქართველოს საბჭოთა მხატვრების III ყრილობა.

ყრილობაზე მოსმენილ იქნა საქ. საბჭოთა მხატვრების კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოვალეობის აღმასრულებლის, ხელოვნების დამსახ. მოღვაწის აპ. ქუთათელაძის მოხსენება მხატვართა კავშირის გამგეობის მუშაობის შესახებ, ხელოვნებათმცოდნის შ. ამირანაშვილის თანამოხსენება ქართული საბჭოთა ფერწერისა და თეატრალურ-დეკორაციული ხელოვნების შესახებ, თანამოხსენებანი შ. კვასხვაძისა — ქართული საბჭოთა ქანდაკებისა და კერამიკის მდგომარეობა და ამოცანები; ს. ქობულაძისა — ქართული საბჭოთა გრაფიკის, პოლიტიკური პლაკატისა და სატირის მდგომარეობა და ამოცანები.

სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა კ. ხუციშვილი.

ყრილობაში მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირის სახალხო მხატვარმა ა. გერასიმოვმა, უკრაინის სსრ მხატვართა კავშირის თავმჯდომარემ მ. ხმელკომ, სომხეთის სახალხო მხატვარმა მ. სარიანმა და მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების სხვა წარმომადგენლებმა.

კამათში გამოსული დელეგატები აღნიშნავდნენ რა ქართველი მხატვრების მიღწევებს ლაპარაკობდნენ იმ ნაკლოვანებებზე, რომლებსაც ჯერ კიდევ აქვთ ადგილი საქართველოს მხატვართა კავშირის მუშაობაში.

ყრილობამ დასახა მთელი რიგი ღონისძიებანი საქართველოს მხატვართა მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

ყრილობამ აირჩია საქართველოს საბჭოთა მხატვრების კავშირის ახალი გამგეობა.

საჯარო ბიბლიოთეკა



# ატომი მშვიდობის სამსახურში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ედ. ყიფიანი

ფოტო ოთ. თურქიასი

გიამბობთ ერთი უცნაური სკოლის შესახებ, სადაც ახალგაზრდა ასპირანტებთან ერთად მეცნიერების დოქტორები და კანდიდატები სწავლობენ, სადაც ცოდნის შესაძენად ჩამოდიან მევენახეები და ექიმები, აგროტექნიკოსები და ზოოტექნიკოსები, მიკრობიოლოგები და ფოლადის გამოდნობის სპეციალისტები. რა საერთო ინტერესს შეეძლო ასე განსხვავებული პროფესიის ადამიანთა თავმოყრა? სად არის ეს საკვირველი სკოლა და რას ასწავლიან იქ?

საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ბიოფიზიკურ ინსტიტუტში უკვე დიდი ხანია ჩამოყალიბდა რადიოაქტიურ იზოტოპთა შემსწავლელი განყოფილება. უკანასკნელ ხანს აქ პრაქტიკა გაიარა ოთხასზე მეტმა სხვადასხვა დარგის სპეციალისტმა; ეს თავისთავად იმაზე მეტყველებს, რომ ნიშანდებული ატომების მეთოდმა მეცნიერების ყველა დარგში ჰპოვა გამოყენება. აი რუკა — მოსკოვიდან ჩვენი ქვეყნის ყოველ კუთხისკენ მიემართება წითელი ხაზები, ისინი დედაქალაქს აკავშირებენ უკრაინასთან, ბალტიისპირეთთან, ამიერკავკასიასთან, შუა აზიასთან, აღმოსავლეთით აღწევენ ჩიტამდე, ხაბაროვსკამდე და ვლადივოსტოკამდე. ამ ადგილებში ცხოვრობენ და მუშაობენ ის ადამიანები, რომლებმაც დაამთავრეს რადიოაქტიური იზოტოპების შემსწავლელი პრაქტიკუმები.

რა მუშაობას ეწევიან ისინი, რა პრობლემებით არიან დაინტერესებულნი?

ვნახოთ პრაქტიკუმის ყოფილ მსმენელთა სია, მათი მისამართები, და „გავემგზავროთ" ინსტიტუტებში და ლაბორატორიებში, ქარხნებში და საცდელ ნაკვეთებზე, იმ ადამიანებთან, რომლებიც მშვიდობიანი მიზნებისათვის იყენებენ ატომურ ენერგიას. მანამდე კი დავიმახსოვროთ, თუ რა არის რადიოაქტიური იზოტოპი და რას უწოდებენ ნიშანდებულ ატომებს.

* * *

ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც მეცნიერებმა აღმოაჩინეს რადიოაქტიობის მოვლენა, რომლის დროსაც ზოგიერთ მეტალთა (რადიუმი, ურანი) ატომები თავისთავად მიმდინარე, ბუნებრივ დაშლას განიცდიან. დღეს კი ადამიანს შეუძლია ყოველგვარი ელემენტი გახადოს რადიოაქტიური, ესე იგი მისი ატომების სიღრმიდან გამოაფრქვიოს ელექტრობით დამუხტული ნაწილაკების ნაკადი. თავისი ქიმიური თვისებებით რადიოაქტიური იზოტოპის ატომი, მაგალითად ფოსფორისა, არაფრით არ განსხვავდება ჩვეულებრივ ფოსფორისაგან. ცხოველთა და მცენარეთა ორგანიზმებში ისიც იმავე ფუნქციებს ასრულებს, რასაც არარადიოაქტიური ფოსფორი, ისიც იმავე ქსოვილებში მკვიდრდება. რადიოაქტიური ელემენტი ჩვეულებრივისაგან განსხვავდება დამუხტული ნაწილაკების გამოფრქვევის უნარით. ამით ამჟღავნებს თავის არსებობას, თავის „მეს". განსაკუთრებული აპარატების — დოზიმეტრების დახმარებით სწავლულები იჭერენ და „აქტს უყენებენ" ამ იმპულსებს. ეს კი მეცნიერული კვლევის საშუალებას იძლევა ბიოლოგიაში, მედიცინაში, ტექნიკაში, ქიმიაში და სხვა დარგებში. რადიოაქტიური ატომების გამოყენების პრინციპი წააგავს იმ მეთოდს, რომლის საშუალებითაც ნატურალისტები თევზების მიგრაციას აკვირდებიან: იჭერენ რამდენიმე თევზს, ჩამოაცმევენ კუდზე რგოლს და ისევ წყალში უშვებენ თავის ქარავანთან შესაერთებლად. რამდენიმე თვის შემდეგ, რამდენიმე ათასი კილომეტრის მოშორებით დაჭერილი ნიშანდებული თევზები ამჟღავნებენ იმ გზას, რომელიც მთელმა ქარავანმა გაიარა. რომელიმე ნივთიერების მასაში შერეული რადიოაქტიური ატომებიც იგივე როლს ასრულებენ, რასაც ნიშანდებული თევზები — ამჟღავნებენ ჩვეულებრივი ატომების ყოველგვარ ქცევას. აპარატი კი ავტომატურად პოულობს ნიშანდებულ რადიოაქტიურ ატომებს და ითვლის კიდევაც მათ. ყოველივე ეს ისეთი დაკვირვებებისა და ცდების ჩატარების საშუალებას იძლევა, რომელთა დროს უვარგისი გამოდგებოდა ყოველგვარი სხვა მეთოდი.

* * *

მცენარეთა ფიზიოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკებმა ერთი „პატარა შესწორება" შეიტანეს ჭარხლის სელექციის საკითხში. სოფლის მეურნეობის მუშაკები სასელექციო შაქრის ჭარხლის შერჩევისას აქამდე ძველი წესებით ხელმძღვანელობდნენ: ფესვის სიდიდის მიხედვით ახარისხებდნენ ჭარხალს. ისინი ეყრდნობოდნენ ძველ თეორიას, რომ სახაროზას სინთეზი თითქოს ფესვებში წარმოებდა. ნიშანდებული ატომების დახმარებით ჩატარებულმა გამოკვლევამ კი სულ სხვა სურათი წარმოადგინა: სახაროზას სინთეზი ხდება ფოთლებში, ფესვი კი სათავსოა, თავისებური დეპოა შაქრისა. ასე რომ დღეიდან ჭარხლის შერჩევისას, სელექციონერებმა ფოთლებს უნდა მიაქციონ მთავარი ყურადღება.

მცენარეთა ფიზიოლოგიის ინსტიტუტში სხვა სამუშაოებიც ჩატარდა. ნიშანდებული ატომების საშუალებით აქ გამოიკვლიეს და დააზუსტეს სასუქის განაწილების მეთოდი. თურმე არ არის საჭირო მთელ ფართობზე მოიყაროს ფოსფორის სასუქი. მცირე რაოდენობაც საკმარისია დიდი მოსავლის მისაღებად, თუკი სასუქი თესლთან ერთად და თესლის სიახლოვეს დაიყრება.

რა საშუალებებით მკურნალობენ ექიმთა დახელოვნების ცენტრალურ ინსტიტუტში?

— ნიშანდებული ატომები — აი ჩვენი მალამო — გიპასუხებდათ პროფესორი ვ. მოდესტოვი, რადიოლოგიის კათედრის გამგე.

ექიმებმა დიდი ხანია შეამჩნიეს, რომ ორგანიზმში შესული იოდი კეთილმომქმედ გავლენას ახდენს ჰიპერტროფირებულ ფარისებრ ჯირკვალზე. ამასთანავე ცნობილია, რომ დაავადებული ორგანო უფრო აქტიურად ითვისებს იოდს, ვიდრე — ჯანმრთელი. მაგრამ დიაგნოზის დროს ამ განსხვავების მხედველობაში მიღება შესაძლებელი გახდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ექიმებმა გამოიყენეს ნიშანდებული ატომების მეთოდი.

— დალიეთ — ეუბნება ექიმი ავადმყოფს.

— წყალია? — უკვირს ავადმყოფს და დაცარიელებულ ჭიქას უბრუნებს.

— თითქმის მართალი ხართ, მხოლოდ მცირეოდენი რადიოაქტიური იოდი იყო გარეული.

ხუთი წუთის შემდეგ ექიმმა დოზიმეტრთან შეერთებული მილსაძიებელი მიუახლოვა ავადმყოფის ყელს. ჩართეს აპარატი და რამდენიმე მოკლე ტკაცუნმა აცნობა, თუ იოდის რამდენმა ატომმა მიაღწია ფარისებრ ჯირკვალს. თუ ადამიანი ჯანმრთელია, მაშინ ჯირკვალი ორგანიზმში შესულ რადიოაქტიური იოდის 18-25 პროცენტს აითვისებს და აპარატი დღეღამის განმავლობაში 800-ჯერ დაატკაცუნებს, ეს ექიმებისათვის ცნობილია, ამ ნორმებიდან გადახვევა კი ფარისებრი ჯირკვლის დაავადებაზე მეტყველებს. როგორღა არჩენენ ამ ავადმყოფობას? იგივე რადიოაქტიური იოდით, მხოლოდ უფრო მეტი დოზებით, ვიდრე დიაგნოზისთვისაა საჭირო.

მაგრამ რადიოაქტიური ელემენტი ხომ ვნებს ადამიანს?

არა. მკურნალობის დროს რადიაცია მცირე რაოდენობით წარმოებს. ამას გარდა, ყოველ რადიოაქტიურ ელემენტს აქვს თავისი „სიცოცხლის პერიოდი" — სეკუნდის მეათედებიდან მილიონ წლამდე. ბუნებრივი რადიუმი მეტად ტოქსიურია და თავის რადიოაქტიობას ინარჩუნებს საშუალოდ ორი ათას წლამდე. ორგანიზმში შემთხვევით მოხვედრილი რადიუმის პატარა ნამცეციც კი განა-



ამერიკელი ჯარისკაცები ატომურ ზარბაზანთან.

ფოტოზე — ზემოთ: ონკოლოგიური დისპანსერის ექიმი ლ. ჩაჩავა ტელერადიუმზარბაზნის სამართავ პულტთან.

გრძობს გამოსხივებას და ბოლოს სიკვდილსაც იწვევს. ხელოვნურად მიღებული რადიოაქტიური ელემენტები კი შედარებით ცოტა ხანს „ცოცხლობენ“. მაგალითად, ოქროს რადიოაქტიური იზოტოპის ნახევარდაშლის პერიოდი 2,73 დღეს გრძელდება, ფოსფორისა — 14,3 დღეს, კობალტი რამდენიმე წელს ინარჩუნებს რადიოაქტიობას.

*
* *

საქართველოს სსრ ონკოლოგიური დისპანსერის დირექტორმა პროფესორმა კონსტანტინე ვეფხვაძემ ლითონის კარი შეაღო და სამკურნალო კაბინეტში მიგვიწვია. ოთახის შუაში, ჭერიდან იატაკამდე უზარმაზარ სტალაქტიტივით ჰკიდია აპარატი, რომელიც ბრჭყვიალა ნიკელის ფერი ხორთუმით თავდება.

— ეს არის ჩვენი ახალი ექიმი, გაიცანით — ხუმრობს პროფესორი. — ტელერადიოზარბაზანს ვუწოდებთ.

— ზარბაზანს?

— დიახ. მაგრამ იმ განსხვავებით, რომ დამანგრეველი და გამანადგურებელი ყუმბარის მაგივრად, შიგ სიცოცხლის მომტანი და გამაჯანმრთელებელი ყუმბარა დევს. ამ აპარატს სხვანაირად ГУТ-СО-20 ეწოდება, ანუ თერაპიული გამა-დანადგარი, რომელშიც 20 გრამი რადიუმის ტოლფასოვანი რადიოაქტიური კობალტია მოთავსებული. ჩვენ უკვე მივიღეთ და მალე დავდგამთ მეორე აპარატს — ГУТ-СО-400-ს, ის უფრო ფართო მასშტაბის მკურნალობის საშუალებას მოგვცემს.

— კი მაგრამ, როდესაც ავადმყოფს მკურნალობთ და კობალტის ყუმბარა აპარატის ხორთუმში ჩამოდის, ხომ შეიძლება კაბინეტის გარეთაც გააღწიოს რადიოაქტიურმა სხივებმა?

— შეხედეთ ამ კედელს — პროფესორი კარებში ჩადგა, — ბარიტისა და ბეტონის ნარევისაგანაა აშენებული, სარკმლის მინაში კი, საიდანაც თვალყურს ადევნებენ ავადმყოფს, ტყვიაა გარეული. აპარატის უმეტესი ნაწილიც ტყვიას შეიცავს, ეს მეტალი კი როგორც ცნობილია რადიოაქტიურ სხივებს არ ატარებს, თუმცა მაინც არ ვენდობით და, ყოველ შემთხვევისათვის, აი ამას ვხმარობთ — პროფესორმა ჯიბიდან ასანთის კოლოფის ოდენა ლითონი ამოიღო, — ეს კოლოფი ატარებს რადიოაქტიურ სხივებს, შიგ რენტგენის ფირია მოთავსებული, დროგამოშვებით ვამჟღავნებთ და ვამოწმებთ ნორმაზე მეტად ხომ არ მოიმატა გამოსხივებამ.

— მკურნალობა როგორღა წარმოებს?

— ჩვენს დისპანსერში რადიუმ-თერაპიის სამ წესს ვიყენებთ. აი ამ კონტეინერში ჩალაგებულია სხვადასხვა სიგრძის ლითონის მილები, თვითეულ მათგანში რადიოაქტიური კობალტია მოთავსებული, მილებს აწყობენ პლასტიკურ მასიდან დამზადებულ ფირფიტებზე და მიამაგრებენ სხეულის იმ ნაწილს, სადაც სიმსივნე მდებარეობს, ამგვარ აპლიკაციურ მეთოდს ხშირად მივმართავთ პირისახის კანის კიბოს სამკურნალოდ. სხვა შემთხვევებში კი რადიოაქტიური კობალტის შემცველი ნემსები პირდაპირ შეგვყავს დაავადებულ ქსოვილში.

პროფესორს კიდევ რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ ამ დროს კაბინეტში ექთანი ქალი შემოვიდა. მას თან შემოჰყვა ავადმყოფი.

— მაპატიეთ, ავადმყოფს დრო დანიშნული აქვს და ცოტა ხნით დავტოვოთ ოთახი — მოიბოდიშა პროფესორმა — დაზგის მუშებისა არ იყოს, ჩვენც ვცდილობთ შევამციროთ აპარატის გაცდენის დრო, იგი განუწყვეტლივ აფრქვევს ენერგიას, ჩვენ კი მხოლოდ რამდენიმე საათით ვიყენებთ ამ მაცოცხლებელ სხივებს.

ყველანი მეზობელ ოთახში გავედით და, როდესაც ექთანმა კაბინეტის კარი გამოიკეტა, სამეთვალყურო სარკმელთან შევგროვდით.

— ახლა თქვენ თვითონ დაინახავთ, თუ როგორ ვმკურნალობთ ამ „ზარბაზნით“ — განაგრძო პროფესორმა — ავადმყოფი წევს მაგიდაზე და აპარატის ხორთუმი მიყენებულია იმ ადგილას, სადაც სიმსივნე მდებარეობს, მაგრამ კობალტის შემცველი ყუმბარა ჯერ ხორთუმში არ არის ჩამოსული. ეს ავტომატურად ხდება ამ პულტ-სამმართველოდან, მიაქციეთ ყურადღება, ანთია ყვითელი ნათურა, ეს იმას ნიშნავს, რომ ყუმბარა დაიძრა ხორთუმისკენ, აი წითელი ნათურაც აინთო, ყუმბარა უკვე ხორთუმშია და მკურნალობაც დაწყებულად ითვლება. როგორც კი გაივლის წინასწარ დანიშნული დრო, აპარატი ავტომატურად გამოირთვება... რა ბრძანეთ? როგორია მკურნალობის შედეგები? მოგახსენებთ: 1952 წლიდან 1954 წლის ჩათვლით კანის კიბოს განკურნების პროცენტმა ოთხმოცდაათს მიაღწია. ყოფილ ავადმყოფებთან კავშირს არ ვწყვეტთ, მიწერ-მოწერა გვაქვს, ყველა კარგად გრძნობს თავს და მადლობას მადლობაზე გვითვლიან, სამწუხაროდ, უშედეგო მკურნალობის შემთხვევებიც გვაქვს, მაგრამ სხივური თერაპია ხომ მედიცინის სულ ახალი დარგია, ჯერ კიდევ ბევრი საკითხი შეუსწავლელია და დაუდგენელი...


ეროვნული ბიბლიოთეკა

პროფესორი კ. ვეფხვაძე ონკოლოგიურ დისპანსერის თანამშრომლებს ლექციას უკითხავს რადიოაქტიური იზოტოპების შესახებ.

*
* *

მართალს ამბობდა პროფესორი — რადიოაქტიური იზოტოპების გამოყენება სულ ახალი მოვლენაა მეცნიერებაში. ჩვენს სამშობლოში, მშვიდობიანი მშენებლობის ქვეყანაში, ატომის ენერგიას უკვე ფართოდ იყენებენ მძიმე მრეწველობის მუშაკები და აგრონომები, ექიმები და ინჟინრები. პირველად მთელ მსოფლიოში საბჭოთა კავშირში აშენდა ატომის ენერგიით მომუშავე მძლავრი სადგური. რადიოაქტიური იზოტოპების დახმარებით მეტალურგები აკვირდებიან თუჯის დნობის მთელ პროცესს და შესწორებები შეაქვთ ათეულ წლობით დამკვიდრებულ ტექნოლოგიაში, აგრონომები წლების განმავლობაში ინახავენ საწყობებში დაგროვილ კარტოფილსა და ბოსტნეულობას. აკვირდებიან წვენის მოძრაობას მცენარეებში. ნატურალისტები საკუთარ თითებივით ითვლიან მილიონობით თევზს, ექიმები ზუსტად იგებენ დროს, თუ როდის მიაღწია წამალმა ავადმყოფის ამა თუ იმ ორგანოში. ატომის ენერგია მშვიდობის საქმის სამსახურში ჩააყენეს საბჭოთა ადამიანებმა.

ოკეანისგადაღმელ ომისგამჩაღებელთათვის სიტყვა „ატომი“, ნგრევისა და სიკვდილის სიმბოლოდ გადაიქცა, ჩვენთვის კი ეს სიტყვა მშვიდობას, სიცოცხლესა და უკეთეს მომავალს ნიშნავს.



ექიმი თ. ნიჟარაძე აპარატის ხორთუმს უმიზნებს ავადმყოფის დაზიანებულ ქსოვილს.



ალვების ხეივანი წილკნის ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობისკენ მიმავალ გზაზე.

ფოტო ვლ. გინზბურგისა

## შალვა შაველაშვილი

მუხრანისა და წეროვნის ველებზე ძველთაგანვე თესავდნენ სიმინდს. მართალია აქ ხორბლის ნათესები სჭარბობდა, მაგრამ სიმინდსაც დიდი სიყვარულით უვლიდნენ.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის დადგენილების შემდეგ, მუხრანისა და წეროვნის ველის კოლმეურნეობებმა მეტი ყურადღება დაუთმეს სიმინდის კულტურის მოყვანას.

წილკნის ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობამ სიმინდის უხვი მოსავლის მოყვანით ჯერ კიდევ გასულ წელს გაითქვა სახელი. კოლმეურნეებმა 170 ჰექტარის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ, 25 ცენტნერის ნაცვლად, 40 ცენტნერი სიმინდი მიიღეს. ცალკეულმა ბრიგადებმა სიმინდის მოსავლიანობის გეგმა თითქმის ორმაგად შეასრულეს.

სასახელო გამარჯვება მოიპოვა ზაქარია ცოციაშვილის ბრიგადამ. მან 36 ჰექტარ ნათესიდან, თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ 45 ცენტნერი მოსავალი აიღო.

— ამ გამარჯვებას, — თქვა ზაქარია ცოციაშვილმა,—იმით მივაღწიეთ, რომ სასიმინდე ნაკვეთები წინასწარ შევარჩიეთ, ახლად გატეხილი ყამირი 25 — 27 სანტიმეტრის სიღრმეზე მოვხანით მზრალად. გაზაფხულზე მზრალი ხელმეორედ გადავხანით და აპრილის პირველ რიცხვებში დავთესეთ. დათესვისთანავე მოვრწყეთ ნათესი. პირველი კულტივაცია ჩავატარეთ და სიმინდს ძირები გამოვუთოხნეთ. მუხრანის არხი ჩვენი კოლმეურნეობის მინდვრებს მთლიანად რწყავს. წყალი სიმინდისათვის ძალიან საჭიროა, და არც მოგვიკლია ჩვენი ყანებისათვის. მეორე კულტივაცია მაისში ჩავატარეთ. სიმინდმა ტანი აიყარა. ამის შემდეგ მანქანის შეტანა ნათესში აღარ შეიძლება. ჯერი თოხზე მიდგა. სამჯერ გავთოხნეთ. თოხნა, განსაკუთრებით კი მიწის შემოყრა, უებარი რამაა ნაწვიმარზე. სველი მიწა მცენარეს ეხმარება დაფესვიანებაში და სინოტივის შენარჩუნებაში... გასულ წელს სიმინდი მწკრივად დავთესეთ, — წელს კი, ძირითადად, კვადრატულ-ბუდობრივი თესვის წესით. ეს პროგრესული მეთოდი არა მარტო მოსავლიანობის გადიდებაში გვეხმარება, არამედ შრომასაც გვიადვილებს. ჰექტარზე 15 შრომადღეს გვიზოგავს.



კოლმეურნეობის ბრიგადირი ზ. ცოციაშვილი და კოლმეურნეობის თავმჯდომარე შ. პაპავაძე არჩევენ სიმინდს სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე გასაგზავნად.

ზაქარია ცოციაშვილი ამჟამად უკეთეს შედეგებს ელის.

— ჩემი ბრიგადა, — ხალისიანად მოგვითხრობს იგი, — ამჟამად იმისთვის იბრძვის, რომ 40 ჰექტარის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ 60 ცენტნერი სიმინდი მოიყვანოს, ხოლო 10 ჰექტარის თვითეულ ჰექტარზე 80 ცენტნერი მოსავალი აიღოს. ამ მიზნით სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩავებით გალის რაიონის ცნობილ მესიმინდე ძუკუ რიგვავასთან. პირობის განაღდება ჩვენი წმიდათა წმიდა საქმეა.

ზაქარია ცოციაშვილის ბრიგადამ 10 ჰექტარზე ორი ჯიშის — „ქართული კრუგის“ და „საადრეო № 1“ სიმინდი დათესა. წილკნელი ნოვატორის მიზანია ამ ნათესიდან სხვადასხვა ჯიშების ურთიერთ დამტვერვის



კოლმეურნეობის ახალ ფერმაში.



გზით მიიღოს ახალი ჰიბრიდი, რომელსაც მომავალ წელს სათესლედ გამოიყენებენ.

წილკნის კოლმეურნეობამ წელს 70 ჰექტარით გაადიდა სიმინდის ნათესი.

და განა მარტო სიმინდის!..

მეცხოველეობის მტკიცე საკვები ბაზის შექმნის მიზნით კოლმეურნეობამ გასულ წელთან შედარებით თითქმის ათჯერ გაადიდა საკვები კულტურების ფართობი.

— ავიღებთ თუ არა ხორბლის მოსავალს, — ამბობს კოლმეურნეობის თავმჯდომარე შალვა პაპავაძე, — 40 ჰექტარ ნაწვერალზე სიმინდს დავთესავთ. ეს ნათესი გათვალისწინებული გვაქვს სასილოსედ, მაგრამ ამ ნათესსაც ისევე დავამუშავებთ, როგორც სამარცვლე სიმინდს.

წილკნის კოლმეურნეობას გადაწყვეტილი აქვს 200 ტონა სიმინდის ნედლი ტარო დააკონსერვოს ძროხების გამოსაკვებად. რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას უკვე მიეცა დაკვეთა ლითონის საკონსერვო კოშკების დასამზადებლად.

კოლმეურნეობა სანიმუშოდ უვლის 13 ჰექტარზე დათესილ პირუტყვის საკვებ ჭარხალსა და 3 ჰექტარზე დათესილ გოგრას. ისინი ვარაუდობენ, რომ ამ ნათესებიდან აიღებენ 5.000 ცენტნერ ჭარხალსა და 700 ცენტნერ გოგრას.

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენიდან მიღებული გამოცდილების საფუძველზე, წილკნელმა კოლმეურნეებმა ძროხების გამოსაკვებად 30 ჰექტარზე მოაწყვეს მწვანე კონვეიერი, ხოლო 30 ჰექტარზე უთესიათ საბალახე ქერი.

*
* *

წილკნის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმაში ძროხების წველადობა გასულ წელთან შედარებით მკვეთრად გაიზარდა.

სახელმწიფოსათვის რძის ჩაბარების ვალდებულება კოლმეურნეობამ ჯერ კიდევ პირველი აპრილისათვის შეასრულა, 24 ტონა რძის ნაცვლად მიმღებ პუნქტს 34 ტონა რძე ჩააბარა.

— გეგმის გადამეტებით,—ამბობს ფერმის გამგე ავთანდილ ლაშაური, — სახელმწიფოს 48 ტონა რძეს ჩავაბარებთ.

ახლა ფერმის მუშაკთა მთელი ყურადღება ძროხების გაძლიერებული კვებისაკენაა მიქცეული.

მწველელი სოფიო ჯანაშვილი 8 ძროხას უვლის. თვითეულ ძროხიდან ამ სახელოვანმა მწველელმა ქალმა უკვე 1500 ლიტრი რძე მიიღო, რითაც წველადობის გეგმა თითქმის ორმაგად შეასრულა.

კოლმეურნეობა ამთავრებს ახალი ტიპიური ბინის კეთილმოწყობას 200 ძროხისათვის.

— როგორც კი მისაქციელჰესი ენერგიას მოგვცემს, ძროხების ახალი ბინა მთლიანად მექანიზებული იქნება. — გვეუბნება შალვა პაპავაძე.

კოლმეურნეობის 1400 სული ცხვარი ამჟამად დუშეთის რაიონის საზაფხულო საძოვრებზეა.

*
* *

ლამაზი სოფელია წილკანი.

მამა-პაპეულ ნასახლარებზე კოლმეურნეებმა ორსართულიანი სახლები წამოჭიმეს. ეზოები ნაყოფიერი ხეხილითა და ვაზის ხეივნებით დაამშვენეს.

ოთხმოცი წლის მოხუცი სოლომონ ლაშაური აივნიდან გადასცქერის ზღვასავით მღელვარე პურისა და სიმინდის ყანებს... მის თვალწინ გაშლილი უხვმოსავლიანი ველი, ბაღები და ვენახები ახლა, საკოლმეურნეო წყობილების დროს გაიფურჩქნენ.

მოხუცმა მინდვრად შემოსულ უიალქნო ხომალდებს — კომბაინებს გააყოლა მზერა...

— კომბაინები მოდიან... მალე მკა დაიწყება... თავისთვის ჩაილაპარაკა და ჭაბუკური ხალისით ჩაიარა კიბე, მერე მარჯვნივ გაუხვია და თავქვე დაეშვა — მინდვრისაკენ, რომ პურის სიმწიფე შეემოწმებინა.



კოლმეურნეობის ცხვრის ფარა საზაფხულო საძოვრებზე.



**კოლმეურნეობის მოწინავე მწველელი ხ. ჯანაშვილი.**



50 წელი შესრულდა საბჭოთა პროზის უდიდესი ოსტატის, ჩვენი ეპოქის შესანიშნავი მწერლის მიხეილ შოლოხოვის დაბადებიდან.

ქართველმა ხალხმა, ჩვენი დიადი საბჭოთა ქვეყნის ყველა მშრომელთან ერთად უდიდესი სიყვარულით აღნიშნა სახელოვანი მწერლის მ. ა. შოლოხოვის დაბადების 50 წლისთავი.

მიხეილ ალექსანდრეს-ძე შოლოხოვი

ეს იყო 1942 წლის ივლისში.

ჩვენს დივიზიას თავდაცვის ზღუდე დონის მარცხენა ნაპირის გასწვრივ ეჭირა, სტანიცა ვიოშენსკაიასა და მის ახლომახლო მდებარე ხუტორებთან.

მე — დივიზიის გაზეთის თანამშრომელი — მოწინავე ხაზიდან რედაქციაში ვბრუნდებოდი, უეცრად გამოჩნდნენ ფაშისტების ბომბდამშენები. მახლობლად აფეთქება გაისმა, სადღაც გვერდით კიდევ ერთი ყუმბარა დაეცა. ჩავურბინე რამდენიმე სახლს, ღია ჭიშკარს წავაწყდი და ეზოში შევვარდი. რამდენიმე წუთს ყველაფერი ირგვლივ სქელ კვამლში იყო გახვეული. როცა კვამლი გაიფანტა, დავინახე, რომ სახლი ნახევრად დანგრეულიყო. აქეთ-იქით მიყრილ-მოყრილი იყო სახლის კოჭები, ძელები, ფიცრები.

და მხოლოდ ახლა მოვედი აზრზე და მივხვდი, რომ ვიმყოფებოდი შოლოხოვის სახლის ეზოში, რომელიც წინადღით მაჩვენეს.

... გადარუჯულ მიწაზე ეგდო ნახევრად სილით დაფარული წიგნი. მონაცრისფრო გარეკანზე ხიშტი და ხის ტოტი იყო გამოსახული — პირველი გამოცემა რომანისა „როგორ იწრთობოდა ფოლადი". გადავშალე წიგნი; თავფურცელზე ეწერა:

„ამხანაგ მიშა შოლოხოვს, ჩემს საყვარელ მწერალს.

მაგრად გართმევთ ხელს და გისურვებთ დიდ წარმატებას „წყნარი დონის" მეოთხე წიგნზე მუშაობაში.

გულწრფელად მსურს თქვენი გამარჯვება.

დაე, გაიზარდონ და ჩვენს გულებს დაეუფლონ კაზაკი-ბოლშევიკები. ჩამოაცალეთ შარავანდედი და რომანტიკა იმ თქვენს გმირებს, ვინც მუშების სისხლით მორწყო წყნარი დონის ტრამალები".

კომუნისტური სალმით ნ. ო ს ტ რ ო ვ ს კ ი

სოჭი, 1935 წლის ნოემბერი.

ეს წიგნი ჩვენი გვარდიული დივიზიის მებრძოლი თანამგზავრი იყო მთელ საფრონტო გზაზე, რომელიც დუნაისთან დასრულდა.

მხოლოდ ომის შემდეგ მოვახერხე გადამეცა წიგნი მიხეილ ალექსანდრეს ძე შოლოხოვისთვის. ეს წიგნი ერთადერთი აღმოჩნდა, რომელიც გადარჩენილიყო მწერლის ბიბლიოთეკიდან.

გრ. ლოლობერიძე

(„ლიტერატურნაია გაზეტა").

# ჯავაჰარლალ ნერუ თბილისში



ჯავაჰარლალ ნერუ რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში.

**13** ივნისს თბილისს ჩამოვიდა ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ჯავაჰარლალ ნერუ.

აეროდრომზე ნერუს შეხვდნენ საქ. სს რესპუბლიკის ხელმძღვანელები და დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

პრემიერ-მინისტრი თავის ქალიშვილ ინდირა განდისა და მის თანმხლებ პირებთან ერთად იყო ქ. რუსთავში, სადაც დაათვალიერა სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხანა.

რუსთავიდან ნერუ ეწვია დიღმის საბჭოთა მეურნეობას.

იმავე დღეს ნერუ დაესწრო თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში დ. თორაძის ბალეტს ,,გორდას''.



თბილისის აეროდრომზე ჯავაჰარლალ ნერუს მიესალმა საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. გ. დ. ჯავახიშვილი.

დედაქალაქის პიონერებმა თაიგულები გადასცეს ინდოელ სტუმრებს.



ფოტო ვლ. გინზბურგისა

ჯავაჰარლალ ნერუ და მისი ქალიშვილი ინდირა განდი რუსთავის გიგანტის კორპუსებთან.



# დედაშვილობა

ივ. ურჯუმელაშვილი

მხატვარი ზ. ლეჟავა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოთხრობა

ელენე 35 წლისა იყო, როცა ქმარი მოუკვდა და სამი შვილი დარჩა სარჩენი.

მისი ქმარი სოფელში თითით საჩვენებელი ვაჟკაცი იყო. რა საქმესაც არ უნდა შედგომოდა, ზედ შეელეოდა და გაუთავებელს არ დატოვებდა. საკუთარი ხელით გაშენებული ბაღი, რომელშიც კოხტა ორსართულიანი სახლი ედგა, ისე კარგად ჰქონდა მოვლილი, მნახველს თვალი ზედ დარჩებოდა.

თხუთმეტი წელი იცხოვრა ელენემ ქმართან, მაგრამ ოჯახურ ცხოვრებისათვის ეს მცირე დრო, იმდენი სიხარულითა და ბედნიერებით იყო სავსე, რომ მისი გახსენება შვებას აძლევდა და ამაგრებდა მარტოხელა ქალს. ქმრის გაღიმებული სახე ცოცხალივით ედგა თვალწინ. განსაკუთრებით ეს სურათი ახსოვდა მკაფიოდ: ბარზე დაყრდნობილ ქმარს გაოფლიანებულ სახეზე, ფოთლებშორის გატანებული მზის სხივები დასთამაშებს. ჭრელი ცხვირსახოცით შუბლს იწმენდს და უღიმის აივანზე გადმომდგარ ელენეს.

ახალგაზრდა ქვრივი მოგონებებით იქარვებდა დარდს და შვილებს მზრუნველობას არ აკლებდა. გაჭირვებამ თითქოს ძალაც შემატა, გამძლეობაც, და ასე გასინჯეთ, თუ ქმრის ხელში ერთთავად ავადმყოფობდა, ახლა კაჟივით გამაგრდა, დამშვენდა, ახალ გასათხოვარს დაემსგავსა.

კოლმეურნეობაში საჭარხლე ნაკვეთი აიღო. იმდენი იყოჩაღა, პირველ წელსვე უხვი მოსავალი მოიწია და მოწინავე კოლმეურნის სახელი დაიმსახურა. ბაღსაც საკუთარი ხელით ამუშავებდა. არც შვილებს აკლებდა მოვლა-პატრონობას.

უფროსი ვაჟიშვილი, თექვსმეტი წლის მიტო, ზედ გამოჭრილი მამა იყო, მასავით ლამაზი, მაღალი და მხარბეჭიანი. მისი მომდევნო მაყვალა დედას ჰგავდა, ხოლო სულ პატარა გიგლა თმახუჭუჭა თეთრი ფუნჩულა ბიჭი სახით მამას დაემსგავსა, ხოლო იერით — დედას...

• •

მარტის ბოლო რიცხვები იყო.

ელენე დილაადრიან წავიდა მინდორში, უნდოდა სასიმინდე ნაკვეთი კაჭაჭებისაგან გაეწმინდა. ისედაც ნაგვიანევი გაზაფხული იყო, თანაც ელენე ორი-სამი დღე ავადმყოფობდა და ამიტომ ნაკვეთის მოხვნა დაუგვიანდა. წინა დღით კოლმეურნეობის თავმჯდომარე შეჰპირდა, ნაკვეთი გაამზადე და დღეს-ხვალ გუთნეულით მოგიხნავო.

გაზაფხულის მხურვალე მზე ათბობდა ზამთრის ძილისაგან გამოღვიძებულ არემარეს. შინდს უკვე მოესწრო კვირტის გამოღება. აქა-იქ თავი ამოეყოთ ენძელებს, გაზაფხულის ამ პატარა მახარობლებს, ირგვლივ ჩამოვარდნილ სიჩუმეს მაღლა ცაში მონავარდე ტოროლების სტვენა არღვევდა. მინდვრიდან მქროლავ ნიავს ახლად მოხნული მიწის სურნელი მოჰქონდა. იყო დრო, როცა ელენე სიხარულით შეჰყურებდა კვირტგამოღებულ შინდის ტოტებს, ჰკრეფდა ენძელებს, ვერ ძღებოდა მიწის სურნელით გაჟღენთილი ჰაერის სუნთქვით. ახლა კი ყოველივე ეს ნაკლებ სიამოვნებას მატებდა მის გულს. ელენემ მარჯვედ გადაიარა წისქვილის წყალზე ხიდად გადებულ ხეზე და პატარა შამბნარში შევიდა.

კიდევ რამდენიმე ნაბიჯი და ნაკვეთში იქნება. მაგრამ... ელენე უცებ შეჩერდა. განცვიფრებული თვალებით უცქეროდა ახლად მოხნულ ნაკვეთს, რომლის კვლებიდან ოხშივარივით ადიოდა ორთქლი.

„ნეტავ ვინ მოხნა უჩემოდ ნაკვეთი?“ ეკითხებოდა ელენე თავის თავს და ვერაფერს მიმხვდარიყო.



როცა ბუჩქებიდან გავიდა, მეზობელ ნაკვეთში გაჩერებული ტრაქტორი დაინახა. ტრაქტორზე დროშა ფრიალებდა. „ეს ხომ მარიამიანთ სანდროს ტრაქტორია. გუშინ არ იყო, რომ მტს-ის გარდამავალი დროშა საზეიმოდ გადასცეს! ალბათ, მან მოხნა ჩემი ნაკვეთი, ჭავალ, მადლობას მაინც გადავუხდი“. — გა.ფიქრა ელენემ და ნელი ნაბიჯით გაეშართა ტრაქტორისაკენ.

სანდროს კაკლის ქვეშ ეძინა.

ელენე, შორიახლო შეჩერდა და ცნობისმოყვარეობით დააცქერდა გულაღმა მწოლარე ტრაქტორისტს, რომელსაც ფარაჯა გადახდოდა, გაშავებულ სახეზე მზე მიდგომოდა, შეწითლებულ ლოყებზე ოფლის წვეთები უბრწყინავდა. არასოდეს არ ჩვენებია სანდრო ასე ლამაზი, სუფთად გაპარსულ სახეზე კოხტად გადაფენოდა დიდი შავი ულვაშები. ფართო შუბლზე სამი ვიწრო ნაოჭი გასდევდა. ხუჭუჭა თმა ტალღებივით ჰქონდა უკან გადავარცხნილი. მოკლესახელოებიანი სასპორტო პერანგი უფარავდა გულმკერდს, რომელიც უფრო განიერი და მკვრივი ჰქონდა, ვიდრე ხალათში უჩანდა. კუნთმაგარ მკლავებზე შავი მსხვილი ძარღვები დაჰბეროდა.

მშვიდად, უძრავად ეძინა სანდროს.

უძრავად იდგა ელენე და ქალური ცნობისმოყვარეობით, თუ კიდევ სხვა რაღაც ძლიერი გრძნობით წაქეზებული თვალს ვერ აცილებდა მძინარე ვაჟკაცს.

მძინარე უცებ შეინძრა, და მოულოდნელად თვალები გაახილა.

— ელენე, ეს შენ ხარ?! — წამოიძახა მან გაკვირვებით და უმალ ფეხზე წამოხტა.

— მე ვარ, შენთან მოვედი, ნაკვეთი რომ მოგიხნავს მინდოდა მადლობა გადამეხადა — თქვა შემკრთალი ხმით ქალმა, მხოლოდ ის მაფიქრებს, ვაითუ ჩემი გულისათვის საყვედური გითხრან.

— დარდი ნუ გაქვს, წუხელი საკუთარ ანგარიშში ჩემი ნაკვეთი მოვხანი და შენიც ზედ მივაყოლე — მიუგო სანდრომ. იგი თვალს ვერ აცილებდა აწითლებულ ელენეს, რომელიც ამ წუთში საოცრად მშვენიერი ეჩვენა.

— გმადლობ, გმადლობ, სანდრო! — მღელვარე ხმით უთხრა ელენემ, კიდევ რაღაცის თქმა სურდა, მაგრამ ველარ მოახერხა. თავშალი მოიხვია, შეტრიალდა და უკანმიუხედავად გაშორდა იქაურობას.

იმ დღიდან დიდი ხანი არ გასულა. სანდრო ელენეს გამოუტყდა შენს სიყვარულს ბავშვობიდანვე გულით ვატარებო.

— ამას რას ამბობ?! — იუცხოვა ელენემ.

ტრაქტორისტმა ჩაახველა და მორიდებით განაგრძო: ადამიანი ქვეყანაზე ერთხელ ცხოვრობს და რატომ არ უნდა დატკბეს ყოველივე იმ სიკეთით, რაც ბუნებას მისი ბედნიერებისათვის შეუქმნია. — სანდროს სიტყვებმა იმოქმედა ქალზე: ელენე პირშებრუნებული იდგა, ვერხვის ფოთოლივით თრთოდა და არაფერს ამბობდა.

ტრაქტორისტმა რაკი ერთი შებედა, უკან აღარ იხევდა:

— ელენე, რატომ არაფერს მეუბნები, იყავი ჩემსავით გულახდილი.

— რა უნდა გითხრა, როცა ჩემთვის ყველაფერი დამთავრებულია.

— როგორ! — გაიკვირვა სანდრომ, — შენ ჯერ ახალგაზრდა ხარ და კიდევ ბევრი დრო გაქვს ბედნიერებისათვის.

— ჩემი ბედნიერება, ჩემი შვილების ბედნიერებაა — წყენით წარმოთქვა ქალმა.

— შენი შვილების ბედნიერება კი წარმოუდგენელია შენი ბედნიერების გარეშე.

— იქნებ ეს ასეც იყოს, მაგრამ რა ვქნა, ჩემთვის ძალიან ძნელია მეორედ გათხოვება. ნუ მელაპარაკები ამაზე ნურაფერს, ნუ. — თქვა აკანკალებული ხმით ქალმა, მაშინ, როცა სულ სხვას ამბობდნენ მისი არაჩვეულებრივად გაბრწყინებული თვალები, რომლებიც გულში ჩამწვდომ სიყვარულის შუქს გამოსცემდნენ.

— მზად ვარ, შევასრულო შენი ყველა სურვილი, — მიუგო სანდრომ, თავისთვის კი გაიფიქრა:

რა ქნას საწყალმა ქალმა, სამი შვილის დედაა და ადვილი როდია მისთვის ასეთი ნაბიჯის გადადგმა.

მართლაც ადვილი როდი იყო ელენესათვის მეორედ გათხოვება. როცა ქმარი მოუკვდა, არა ერთხელ მისცა თავის თავს სიტყვა, რომ კაცს ქმრად აღარ ინდომებდა. მზე და მთვარე შვილებზე ამოსდიოდა, არაფერს აკლებდა, ჩიტის რძე რომ მოეთხოვათ, იმასაც გაუჩენდა. ისე ძალიან უყვარდა შვილები, ისე იყო მათი მზრუნველობით გართული, წარმოდგენითაც ვერ წარმოიდგენდა, თუ როდისმე სხვა ბედნიერებაზე კიდევ იფიქრებდა.

და უცბად, სანდროს ნათქვამმა სიტყვებმა ელენე ძალიან შეაფიქრიანა.

როგორ მოიქცეს, გათხოვდეს თუ არა? რომ გათხოვდეს, მერე შვილები? ვინ იტყვის, რომ ელენე შვილებს არ ერთგულობდეს. ნუთუ მეორე ქმრის ხელში არ შეეძლება დარჩეს მათი ერთგული. საქმე ის არის, მამინაცვალს ეყვარება თუ არა ისინი.

აქ შეჩერდა ქალის გონება.

* *

იმ დღეს, როცა სანდრო პირველად მივიდა ელენესთან ოჯახში, უფროსი ვაჟი სახლში არ იყო. ორი წლის გიგლა სტუმარს კარებში შეეგება. ტრაქტორისტმა ის ხელში აიყვანა, შუბლზე აკოცა და შოკოლადი მისცა.

მაყვალა მორცხვობდა, განზე იდგა და სტუმარს ბავშვური ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდა.

სანდრომ ჩანთიდან თოჯინა ამოიღო და გოგონას აჩუქა. ბავშვმა მადლობა გადაუხადა და მეორე ოთახიდან სათამაშოების ყუთი გამოიტანა.

— მაყვალა, ეს რამდენი სათამაშოები გქონია — თქვა სანდრომ და ბავშვს ტახტზე გვერდით მიუჯდა.

ბავშვი ყუთიდან სათამაშოებს იღებდა და სტუმარს უჩვენებდა, თან იმასაც ეუბნებოდა, თუ რომელი ვისი ნაჩუქარი იყო.

როცა წითელკაბიანი თოჯინა ამოიღო, სტუმარს შეეკითხა.

— ძია სანდრო, აბა, თუ იცი, ვინ მიყიდა ეს თოჯინა?

— არ ვიცი. ძალიან ლამაზი თოჯინაა; ვინ გიყიდა? — კითხვითვე მიუგო სანდრომ.

— ვინ და მამამ, ისეთი კარგი მამა მყავდა, ისეთი კარგი, რომ...—ბავშვმა თავი ჩაღუნა, არ უნდოდა მისი ცრემლმორეული თვალები დაენახათ.

ელენემ, რომელსაც თავი ისე ეჭირა, ვითომ მათ ლაპარაკს ყური არ უგდებდა, ბავშვის უკანასკნელ სიტყვებზე სუფრის გაშლას თავი მიანება და მოსაუბრეებს ყური მიუგდო.

— ეს ვილამ გიყიდა? — თქვა სანდრომ და თეთრკაბა თოჯინა უჩვენა.

— დედამ მიყიდა. დედას რასაცა ვთხოვ, ყველაფერს მიგონებს, ამიტომ მეც მას ყველაფერს ვუჯერებ.

ამ დროს ჭიშკრის კარი ჭრიალით გაიღო. კიბეზე ვილაცის ფეხის ხმა გაისმა.

— ჩემი ძმაა — წაილაპარაკა მაყვალამ, — კიბეზე ყოველთვის ისე ამოდის, თითქოს დიდი კაცი იყოს.

ელენე შვილს აივანზე შეეგება.

— დედილო, ვისია ეს კალოშები?— იკითხა ვაჟმა და ხელით უჩვენა სანდროს კალოშებზე, რომლებიც კუთხეში ეწყო.

— სანდროსია, შვილო, — მიუგო ელენემ.

აივანზე ბნელოდა. დედა-შვილი ერთმანეთს კარგად ვერ ხედავდა, მაგრამ ორივემ კარგად შეამჩნია ის, რაც მათ შემკრთალ ხმაში იგრძნობოდა.

— ვინ სანდროსი? — იკითხა გაკვირვებით შვილმა.

— მარიამიძიანთ სანდროსი.

— მერე იმას ჩვენთან რა უნდა?

— ცოტა ხნით შემოიარა. არ გაბრაზდე, შვილო, სანდრო კეთილი კაცია, შენ ძალიან უყვარხარ, ამბობს, ყოჩაღი ბიჭიაო.

მიტოს აღარაფერი უთქვამს, მაგრამ დედის გულს არ გამოპარვია შვილის მღელვარება.

დედა-შვილი ოთახში შევიდა.

მიტო სტუმარს მორიდებით მიესალმა და მეორე ოთახში გავიდა.

რამდენიმე ხანმა განვლო. როცა აშკარა გახდა, რომ მიტო გამოსვლას აგვიანებდა, ელენე მეორე ოთახში გავიდა. ფეხაკრეფით მიუახლოვდა ფიქრებში წასულ შვილს, რომელიც მაგიდასთან იჯდა და თავზე ხელის გადასმით უთხრა!

— შვილო, აქ რას ზიხარ, გამოდი მეორე ოთახში და ჩვენთან ერთად ივახშმე!

— არა, არ გამოვალ, — წყენით მიუგო ბავშვმა.

— რატომ?

— ასე მინდა და იმიტომ.

— რა დაგემართა, რატომ გაქვს თვალები ცრემლებით სავსე? — მიტომ თავი ჩაღუნა.

— მითხარი, ჩემო საყვარელო ბიჭო, რატომ არაფერს მეუბნები?—მიმართა ელენემ და შვილი მკერდში ჩაიკრა.

— რა უნდა სანდროს ჩვენთან, რა? ან რად ჩაგიცვამს ვარდისფერი კაბა, რად?! — შეეკითხა ბავშვი და უცბად ატირდა.

— ნუ ტირი, შვილო, ნუ, — აწყნარებდა ელენე ბავშვს, მაგრამ თვითონაც მალულად ტიროდა. ელენე ბევრი ეხვეწა, ბევრი ემუდარა შვილს გასულიყო ოთახში და სტუმართან ერთად ევახშმა, მაგრამ ვერა და ვერ დაიყოლია. ბავშვმა დედას ლოგინი გააშლევინა და უვახშმოდ დაწვა.

როცა სანდრო მასპინძლებს გამოემშვიდობა, მეორე ოთახში მიტოს გასძახა.

— ძილი ნებისა, მიტო!

ბავშვმა არაფერი უპასუხა.

ელენემ სტუმარი ჭიშკრამდე მიაცილა.

— ერთი რამ მინდა გითხრა,—უთხრა გამომშვიდობებისას მან სანდროს, — ხომ ნახე ჩემს ბიჭს... შენი მოსვლა როგორ ეწყინა, — ეს ჩემთვის ძნელია, ძალიან ძნელი. გეხვეწები, ნუღარ მოხვალ.

— მეტი რა გზაა, შევასრულებ შენს თხოვნას. მაგრამ შენ მაინც ჩემს წინადადებაზე გადაწყვეტით არაფერს მეუბნები — მითხარი ან „ჰო“, ან „არა“.

— პასუხს ორ-სამ დღეში შემოგითვლი, — მიუგო აკანკალებული ხმით ელენემ. სანდრო ჩქარი ნაბიჯით გაემგზავრა სახლისკენ. ელენემ მას თვალი გააყოლა და სახლში შეტრიალდა.

* *

ღამით მიტომ დიდხანს იტრიალა ლოგინში, იწვა თვალებდახუჭული და ხან რაზე შეაჩერებდა ფიქრს, ხან რაზე, მაგრამ ვერა და ვერ ჩაეძინა.

„ნეტავ რად მივიდა სანდრო მათთან, — ფიქრობდა იგი, — ან რად გამოეწყო ვარდისფერ კაბაში დედა, რომელსაც მთელი წელი შავები ეცვა?! იქნებ დედა უმალავს ამის მიზეზს. ის ხომ მისით უკმაყოფილოა; ის ხომ სულ იმას ეუბნება, შვილო, დილიდან საღამომდე რა უსაქმოდ დასეირნობ ჯიბეებში ხელებჩაწყობილი და მხოლოდ ქალაქში წასვლაზე ოცნებობ. ხომ ხედავ, მარტო ვერ ავუდივარ ამოდენა საქმეს. განა, ჩვენს ოჯახს თავი დაენებება. მამაშენი აქ დაიბადა, ოცდათექვსმეტი წელი იცხოვრა და აქაურობის ცქერით ვერ გაძღა: არ გახსოვს — რომ კვდებოდა, ყინვა იყო, მაგრამ ფანჯარა გაგვაღებინა. მინდა სიკვდილის წინ ჩვენ მინდვრებსა და ბაღ-ვენახებს ერთხელ კიდევ გადავხედოო. შენ კი მამული არ გიყვარს და ოჯახიდან წასვლას აპირებ. წადი, მაგრამ ერთი ეს მითხარი, ვინ მოუვლის მამაშენის ჩაყრილ ვაზსა და ხეხილს, ვინ?! ნუთუ არ გრცხვენიან, სამ-სამ შვილსა გზრდით, კოლმეურნეობაშიც ვმუშაობ და მამულიც ჩემს კისერზეაო“.

უცბად დედამ ჩაახველა. მიტო მიხვდა, რომ დედას არ ეძინა. იქნებ დედასაც ფიქრებით ძილი გაუტყდა, — გაიფიქრა მან და გადაწყვიტა მისულიყო მასთან, ჩაჰკვროდა მკერდში და სიტყვა მიეცა, რომ იგი სახლიდან ფეხს არსად გადადგამდა, ბაღსაც მოუვლიდა, კოლმეურნეობაშიც იმუშავებდა, ოღონდ ტრაქტორისტ სანდროს მათ სახლში ფეხი აღარ დაედგა.

წამოდგა კიდეც, მაგრამ რაღაც უხილავმა ძალამ ისევ ლოგინში ჩააწვინა.

„ახლა უხერხულია, იქნებ დედას არც ღვიძავს; მაშ ხვალ ვეტყვი, ასე ემჯობინება“.

ფიქრებით მოღლილ მიტოს უცბად ჩაეძინა. დილით უთენია ადგა. ფრთხილად ჩაიცვა ტანსაცმელი და ფეხაკრეფით გავიდა აივანზე.

ვარდისფრად შემოსილი აღმოსავლეთი სინათლეს ჰფენდა აყვავებულ ბაღვენახებს: ირგვლივ ჩამოვარდნილ სიჩუმეს შუა სოფელში გამავალი მდინარე არღვევდა, რომელიც ისე ჩუმად მიჩხრიალებდა, თითქოს ისიც დილის ძილს მისცემიაო, ბაღიდან ისმოდა ბულბულის ტკბილი სტვენა, მაღლა ცაში მონავარდე ტოროლა გალობით ეგებებოდა სინათლეს.

გასცქეროდა მიტო ამ სანახაობას და ცქერით ვერ ძღებოდა. დილის გრილმა ნიავმა, რომელსაც მინდვრიდან ყვავილთა დამათრობელი სურნელი მოჰქონდა, მთლად გამოაცოცხლა და წაახალისა, ისე მსუბუქად გრძნობდა თავს, თითქოს ეს-ეს არის უნდა გაფრინდესო.

ყოჩაღად ჩაირბინა კიბეზე, აიღო ბარი და გავიდა ბაღში.

ელენე ბაღს საღამოობით ბარავდა ხოლმე და მხოლოდ ერთი კვალიღა დარჩენოდა დასაბარი.

მიტო ამ კვალს დაადგა. თითქმის არასოდეს უბარია, და რა თქმა უნდა, უჭირდა მუშაობა. ბარის პირს მიწაზე სდებდა, სასწრაფულს რამდენჯერმე არტყამდა ფეხს, მაგრამ ბარის პირი სანახევროდ ვერ ჩადიოდა მიწაში, თანაც ძალიან პატარა ბელტებს იღებდა. კვალი ხუთ მეტრზეც არ ჰქონდა გატანილი, რომ დაიღალა, ოფლში გაიწურა, სახსრები ეტკინა, მაგრამ მაინც ბარავდა და ბარავდა.

* *

დილით ელენემ ჩვეულებრივზე გვიან გაიღვიძა. წუხელ ღამით დიდხანს უტრიალებდა თავში ეს ფიქრი, რომელიც ეს ორი დღეა ჩასციებოდა და მოსვენებას არ აძლევდა. არ იცოდა, რა გადაწყვეტილება მიეღო. სანდროს სიყვარულში გამოტეხამ ბევრი, ძალიან ბევრი რამ გახადა მისთვის ნათელი. ელენეს მოაგონდა ბავშვობა. თვალწინ წარმოუდგა პატარა სანდრო, რომელიც ხშირად მის შორიახლო იდგა ხოლმე და დაღონებული უცქეროდა. რად მიცქერის სანდრო ასე გაშტერებით, რად? ეკითხებოდა ელენე თავის თავს და პასუხს ვერ პოულობდა.

რვაწლედის დამთავრების შემდეგ სანდრომ მტს-ში მიმზმელად დაიწყო მუშაობა. სასაცილო რამ იყო მაშინ სანდრო, რომელსაც დიდი კაცის კომბინიზონი ეცვა, მთლად ნავთითა და ბენზინით ამოსვრილი. შაბათობითა და კვირაობით ხვდებოდნენ ისინი სოფლის მოედანზე. მიესალმებოდა სანდრო ელენეს და უკან აედევნებოდა. თუ სადმე შეჩერდებოდა ელენე, სანდროც შორიახლო შეჩერდებოდა და ისეთი ცნობისმოყვარეობით უცქეროდა, თითქოს პირველად ხედავს და თვალით შეჭმა უნდაო.

გადიოდა წლები, სანდრო ელენეს კვლავ უკან დასდევდა; ცქერითაც ისევ უცქეროდა, თქმით კი არაფერს ეუბნებოდა.

ქალური ალღო ელენეს ახვედრებდა, თუ რა ცეცხლი უტრიალებდა სანდროს გულში, ამიტომ ვაჟს გულგრილად არ ექცეოდა, ცოტა არ იყოს, მოსწონდა კიდეც, მაგრამ რაკიღა სანდრო არაფერს ეუბნებოდა, მას თანდათან თავის ფიქრებში ეჭვი შეეპარა და ბოლოს ეს ყველაფერი ვაჟის გულუბრყვილობას მიაწერა.

აი თურმე ბავშვობიდანვე რატომ უცქეროდა უცნაურად მას სანდრო. ვინ იცის, იქნებ ცოლიც იმიტომ არ შეირთო, რომ ელენე უყვარდა. სანდრომ ხომ უთხრა, ჩემს გულს წლობით შენთვის ვინახავდიო. ალბათ, ამიტომ ლაპარაკობდნენ, სანდროს შეყვარებულმა უღალატა და ცოლს ამიტომ აღარ ირთავსო. თურმე ის, — ელენე ყოფილა ამის მიზეზი. საწყალი სანდრო. თუკიღა ელენეს შეუძლია მიუტანოს მას სიხარული, რატომ არ უნდა გააკეთოს ეს. მაგრამ შვილები! პატარები არაფერსაც არ იტყვიან. გიგლას ხომ სანდრო მამა ჰგონია. მაყვალაც მას პირველი ნახვისთანავე დაუმეგობრდა. რა კარგი იქნებოდა, გუშინ პირდაპირ რომ ეთქვა მიტოსათვის, თუ რატომ მივიდა სანდრო მათთან, თუმცა რა საჭირო იყო თქმა, როცა უამისოდაც ნათელი გახდა, თუ როგორ ძნელი იქნება უფროსი ვაჟიშვილისათვის დედის მეორედ გათხოვება. ეჰ, თვითონაც არ იცის, რა ქნას! ვინ იტყვის, რომ ელენე თავისი ოჯახისა და შვილების ერთგული არ არის, ვინ?! წელიწადზე მეტია, რაც ოჯახი მის ამარა დარჩა. კარგად იყო თუ ავად, ყოველდღე ამას ელენე უსიტყვოდ იტანდა. ეგონა, შვილი რვაწლედს დაამთავრებდა, მხარში ამოუდგებოდა, ის კი... აღარც სკოლაში სწავლობს და არც კოლმეურნეობაში მუშაობს. ნუთუ მიტომ იმდენი არ იცის, რომ თუ ის არ წაეშველება, დედას ძალიან გაუძნელდება ამოდენა საქმის კეთება და ოჯახის რჩენა.

კიდევ დიდხანს ფიქრობდა ელენე. ვერა და ვერ გადაწყვიტა, თუ რა პასუხი გაეცა სანდროსათვის. ყოველი მისი ფიქრი ან „ჰოთი“ მთავრდება ან „არათი“. მის შეგნებაში ამ ორმა სიტყვამ არა ერთხელ შესცვალა ერთმანეთი, მაგრამ ისე ჩაეძინა, საბოლოოდ ვერავითარი გადაწყვეტილება ვერ მიიღო...

* *

ელენემ ფაციფუცით ჩაიცვა ტანსაცმელი და გარეთ გავიდა. აპრილის თბილ მზეზე, ათასფრად ბზინავდა აყვავებული ბაღები. ჰაერში გაზაფხულის სუნი ტრიალებდა. ისმოდა ჩიტუნების ჭიკჭიკი.

სახურავიდან ჩამოფრენილი მტრედები ელენეს კინაღამ ზედ შეაფრინდნენ. ქალმა მათ ხელი აუქნია და უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა, მტრედებისთვის მაინც ეჭმიათო.


ეროვნული ბიბლიოთეკა

მტრედები აივნის მოაჯირზე ჩამოსხდნენ, იღუღუნეს,—იღუღუნეს და ისევ ელენეს შეაფრინდნენ. ქალმა გრძელ ცოცხს წამოავლო ხელი და მტრედები გააფრთხო.

— დედიკო, მტრედებს ნაკმაზი დაუყარე,—მოესმა სწორედ ამ დროს ბაღიდან შვილის ხმა.

— ჯერ ძროხა ნახირში არ გამიგდია და რა მტრედების ჯავრი მაქვს.— მიუგო დედამ და აჩქარებით კიბეზე ჩავიდა.

— ძროხა მე უკვე გავაგდე ნახირში.

— ყოჩაღ, შვილო, მანდ რას აკეთებ?

შვილმა პასუხი შეუგვიანა. ან რა საჭირო იყო რაიმეს თქმა, როცა ღობეზე გადამდგარი დედა გარკვევით ხედავდა მამასავით ბარზე დაყრდნობილ შვილს, რომელსაც ფოთლებშორის გატანებული მზის სხივები სახეზე დასთამაშებდა, ჭრელი ცხვირსახოცით შუბლს იწმენდდა და დედას უღიმოდა.

შესცქეროდა ელენე შვილს და ვერაფრის თქმას ვერ ახერხებდა. მის გაღიმებულ ვარდისფერ ტუჩებს, რომელთა შუა ლამაზად მოჩანდა თეთრი კბილები, ოდნავ დაჭორფლილ ლოყებზე, დიდ შავ თვალებში იგრძნობოდა ის სიხარული, რასაც ადამიანებში მოულოდნელი ბედნიერება გამოიწვევს ხოლმე.

„დედილო, ხომ გიხარია, ხომ კმაყოფილი ხარ ჩემი!“ — ამბობდნენ შვილის გაბრწყინებული თვალები.

— შვილო, ამდენი როგორ დაბარე?— ამის თქმაღა მოახერხა ელენემ.

— ძალიან ადრე ავდექი დედილო. — მიუგო მიტომ და ბარვა განაგრძო.

— ახლა დაისვენე, ვისაუზმოთ და მერე მეც წამოგეშველები.

მიტომ ბარი მხარზე გაიდო და დედასთან მივიდა.

— გმადლობ, გმადლობ, მე ძალიან მიხარია შვილო, რომ უკვე ცდილობ მამის ადგილი დაიჭირო ოჯახში — უთხრა დედამ მიტოს და გაოფლიანებულ შუბლზე აკოცა.

# შესანიშნავი მსახიობი და მოქალაქე



ესტევანი — შ. ღამბაშიძის პირველი როლი კ. მარჯანიშვილის პირველ სპექტაკლ „ცხვრის წყაროში“.

ქართულმა საბჭოთა თეატრმა დიდი დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა შალვა ღამბაშიძე.

შალვა ღამბაშიძე იყო შესანიშნავი საბჭოთა ადამიანი, ქართული თეატრის ერთგული და თავდადებული მოამაგე. მან სიკვდილის უკანასკნელ დღემდე შეინარჩუნა ბავშვური სისპეტაკე და უშუალობა, და ეს არა მარტო ამშვენებდა მას, ამ უშუალობის გარეშე შეუძლებელიც იყო შალვას წარმოდგენა. კოტე მარჯანიშვილი, როგორც დიდი ხელოვანი, განსაკუთრებით გრძნობდა შალვას ამ სპეტაკ ხასიათს და მისდამი ყოველთვის განსაკუთრებით ალერსიან დამოკიდებულებას იჩენდა. მის მიერ შექმნილ შესანიშნავ სახეებში მთავარი იყო სიმართლე, სისადავე და უდიდესი სცენური მომხიბვლელობა.

ჯერ კიდევ 1918 წელს, ქ. ქუთაისის რეალურ სასწავლებელში მოსწავლეთა მიერ გამართულ სპექტაკლ „რევიზორში“, მან რუსულ ენაზე ითამაშა გოროდნიჩი და ეს როლი დიდი წარმატებითაც შეასრულა. ალბათ, ეს იყო ერთგვარი ბიძგი, რომელმაც მას გადააწყვეტინა მთელი სიცოცხლე შეეწირა ხელოვნებისათვის. სასწავლებლის დამთავრებისას, იგი შედის ახალგაზრდა დამწყებ აქტიორად ქუთაისის დრამატულ საზოგადოებაში. ერთი წლის შემდეგ სპეციალური განათლების მისაღებად შალვა თბილისში ჩამოდის და გ. ჯაბადარის თეატრალურ სტუდიაში ეწყობა. 1921 წელს იგი უკვე მიწვეული იყო ქართული თეატრის დასში, რუსთაველის სახელობის თეატრში. პირველი შესამჩნევი გამარჯვება შალვას ხვდა გიორგი სააკაძის როლში ს. შანშიაშვილის ისტორიულ პიესაში „უგვირგვინო მეფენი“.

შალვა ღამბაშიძის ბრწყინვალე შემოქმედებითი ბიოგრაფია დაკავშირებულია დიდი ქართველი რეჟისორის კოტე მარჯანიშვილის სახელთან. კოტეს პირველ სპექტაკლში, ლოპე დე-ვეგას „ცხვრის წყაროში“, ერთ-ერთი ბრწყინვალე შემსრულებელი შალვა ღამბაშიძე იყო. აქედან იწყება შალვას დიდი აქტიორული გზა: გოდუნის როლი „ოლვევაში“, დე-სილვა „ურიელ აკოსტაში“, ოტელო „ოტელოში“, კუტუზოვი „ბაგრატიონში“, კნუროვი „უმზითვოში“ და მრავალი სხვ., დაახლოებით — 50 როლი.

კოტე მარჯანიშვილის გარდაცვალების შემდეგ შ. ღამბაშიძე მარჯანიშვილის სახელობის თეატრის ერთ-ერთი მეთაური ხდება და დაუვიწყარი მასწავლებლის შემოქმედებით ტრადიციებს გულმოდგინედ ნერგავს ჩვენს თეატრში, შალვას აქტიორულ ბიოგრაფიას ემატება მისი შესანიშნავი მოღვაწეობა, როგორც რეჟისორისა. მან განახორციელა ცნობილი დადგმები: „სამანიშვილის დედინაცვალი“, „კოლმეურნის ქორწინება“, „ქირვეული ცოლის მორჯულება“, „ყამთაბერის ასული“ და სხვ. პარალელურად შალვა მოღვაწეობს ქართულ კინემატოგრაფიაში, მონაწილეობას ღებულობს სურათებში: „სამანიშვილის დედინაცვალი“, „ქალი ბაზრობიდან“, „დავით გურამიშვილი“, „ბედნიერი შეხვედრა“, „ჭრიჭინა“ და მრავალი სხვ.

შალვას ხმას ხშირად ვისმენდით ეთერში და მისი მხატვრული კითხვით მრავალჯერ დამტკბარან ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები.

შალვა ღამბაშიძის ცხოვრების მეორე, არა ნაკლებ ბრწყინვალე მხარე იყო მისი საზოგადოებრივი მოღვაწეობა, რომელიც ქართული თეატრის მოღვაწეთათვის დარჩება როგორც ნიმუში და მისაბაძი მაგალითი. მთელი წლების მანძილზე მისი მოღვაწეობა, როგორც საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატისა, გამოიხატებოდა ადამიანისადმი უსაზღვრო გულისხმიერებასა და სიყვარულში. შალვას დასახელება დეპუტატობის კანდიდატად ყოველთვის იყო ჩვენი თეატრის დიდი ზეიმი და დღესასწაული. შალვა იყო მოუსვენარი და დაუღალავი საზოგადოებრივ მუშაობაში. იგი იყო თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის წევრი და თავმჯდომარის მოადგილე, თეატრის სამხატვრო საბჭოს წევრი.

საზოგადოებრივი მოღვაწეობა შალვასთვის იყო სრულიად კანონზომიერი და ეს მისი სიცოცხლის მიზანს შეადგენდა. ერთი დღეც წარმოუდგენელი იყო, რომ შალვა არ მოსულიყო თეატრში თავისი მოღიმარი სახითა და კეთილი გულით. თუ სპექტაკლში არ თამაშობდა, ის მუდამ ახალგაზრდა მსახიობებთან იყო და ზრდიდა იმ დიდი პრინციპულობის საფუძველზე, რომელსაც ქართული საბჭოთა თეატრის სამსახური ეწოდება; ამიტომაც იყო იგი ჩვენი ახალგაზრდა მსახიობთა უახლოესი მეგობარი. არ ყოფილა სამხატვრო საბჭოს არც ერთი სხდომა, რომელზედაც შალვას არ დაეყენებინოს ახალგაზრდა მსახიობთა აღზრდის საკითხი. მას ყველაზე მეტად აღელვებდა ჩვენი თეატრის მომავალი.

მახსენდება ჩვენი თეატრის ახალი პრემიერის მზადების უკანასკნელი დღეები. მიუხედავად იმისა, რომ შალვას ბოლო ხანებში მეტად გაურთულდა ავადმყოფობა, არც ერთი რეპეტიცია არ გაუცდენია. მიმტკიცებდა, თეატრში ყოფნა და მუშაობა ჩემთვის ყველაზე დიდი მკურნალიაო. მან კიდევ შესძლო ერთხელ მაინც ეთამაშა პრემიერაზე გრაფ შრუსბერის როლი ფ. შილერის ტრაგედია „მარიამ სტიუარტში“. ეს იყო სიკვდილის წინ მისი დიდი ნიჭის უკანასკნელი გაელვება.

წავიდა ჩვენგან შესანიშნავი აქტიორი და მოქალაქე. შალვა ღამბაშიძის უმწიკვლო ცხოვრება და დიდი ღვაწლი მისაბაძ მაგალითად დარჩება ქართულ საბჭოთა თეატრის ახალგაზრდა მსახიობთათვის.


**ივ. გვინჩიძე**

კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის დირექტორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.




ნ. გოგოლის „რევიზორი“. შ. ღამბაშიძე — გოროდნიჩის როლში.

გ ო რ ო დ ნ ი ჩ ი (დერჟიმორდას): — ხოლო ის, ვინც უკმაყოფილო იქნება, მე იმას ისეთ უკმაყოფილებას მივცემ...



ეროვნული ბიბლიოთეკა

გრაფი შრუსბერი — შ. ღამბაშიძის უკანასკნელი როლი სპექტაკლ „მარიამ სტიუარტში“.



სცენა „ურიელ აკოსტადან“: დე სილვა — შ. ღამბაშიძე.



ვ. ჯაფარიძე. — ორთაჭალჰესის მშენებლობაზე.

# მხატვარ ვახტანგ ჯაფარიძის პეიზაჟები

ვახტანგ ჯაფარიძე საქართველოს მხატვართა იმ თაობის წარმომადგენელია, რომელმაც სამხატვრო განათლება თბილისის სამხატვრო აკადემიაში მიიღო; იგი აკადემიის კურსდამთავრებულთა ერთ-ერთ პირველ გამოშვებას ეკუთვნის. აქ, თბილისის სამხატვრო აკადემიაში, სადაც მოღვაწეობდნენ გამოჩენილი მხატვრები და პედაგოგები გ. გაბაშვილი, ე. ლანსერე, ი. შარლემანი და სხვ. ვ. ჯაფარიძემ რეალისტური ფერწერის საფუძვლიანი სკოლა გაიარა.

ვ. ჯაფარიძის შემოქმედებაში ძირითად და, შეიძლება ითქვას, განმსაზღვრელ ჟანრს პეიზაჟი წარმოადგენს, ხოლო ტექნიკა, რომლითაც მისი ნაწარმოებებია შესრულებული, უმთავრესად აკვარელური მხატვრობაა (აკვარელით და გუაშით შესრულებული პეიზაჟები). მართალია, მხატვარი სხვა ტექნიკითაც მუშაობს, სახელდობრ—ზეთის ფერებით; ამასთანავე, პეიზაჟების გვერდით სხვა სახის ნამუშევრებიც შეიძლება დავასახელოთ, მაგრამ წამყვანი ადგილი მის შემოქმედებაში მაინც აკვარელით შესრულებულ პეიზაჟს მიეკუთვნება, რომელიც მხატვრული თვალსაზრისითაც განსაკუთრებით გამოიყოფა.

ვ. ჯაფარიძის შემოქმედებაში პეიზაჟი მრავალფეროვნებით ხასიათდება; იგი ფართოდ მოიცავს საქართველოს ბუნებას, როგორც მის წარსულს ისე საბჭოთა სინამდვილეს. მრავალი აკვარელი გადმოგვცემს საქართველოს სხვადასხვა კუთხეებს. იგი ხშირად ასრულებს ეტიუდებს ნატურიდან, გამოხატავს პეიზაჟის ამა თუ იმ კუთხეს, ღებულობს ბუნების მონაკვეთს უშუალოდ. მაგრამ იგი კომპოზიციურად დასრულებულ მთლიანობას ქმნის და კოლორიტის მხრივ პეიზაჟში გარკვეული განწყობილება შეაქვს. იგი ეძებს სასიამოვნო ფერადოვან შეხამებას საერთო ცხოველხატულობის შთაბეჭდილების შესაქმნელად. აკვარელებში კოლორიტი ხშირად საერთო ტონალობაშია გადაწყვეტილი, ხოლო ზოგჯერ მასში ფერების ულერადი აქცენტები გამოიყოფა; მაგალითად, საგურამოს პეიზაჟში ი. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის ხედით, ზოგადი მწვანე ფერადოვანი გამა გაცოცხლებულია ფოთლების ყვითელი და მოწითალო ფერების ნათელი და კაშკაშა ლაქებით. მხატვარი მიზნად ისახავს გადმოსცეს პეიზაჟებში განათების სხვადასხვა პირობები და ეფექტები, წლის ამა თუ იმ დროს ხასიათი. იგი ხშირად გვაძლევს ეტიუდების სახით თბილისის სხვადასხვა კუთხეების ჩანახატებს, ხან მზის სხივებით განათებულს, ხან მოღრუბლულსა და უმზეოს. ამ მხრივ აღსანიშნავია აკვარელი „თბილისი წვიმიან დღეს“, რომელშიაც მშვენივრადაა გადმოცემული წვიმიანი, ბურუსიანი დღის შთაბეჭდილება.

მნიშვნელოვანი ადგილი ვ. ჯაფარიძის შემოქმედებაში არქიტექტურულ პეიზაჟს უკავია, სახელდობრ, ნამუშევრებს, რომლებშიაც ქართული არქიტექ-

ტურის ისტორიული ძეგლებია ასახული. მხატვარმა სხვადასხვა დროს შეასრულა საქართველოს ცალკეული რაიონების არქიტექტურული ძეგლების სერიული ჩანახატები, როგორიცაა გუდარეხის მონასტრისა და კახეთის არქიტექტურის ხედები, სვანეთის პეიზაჟები და სხვ. თვითეულ შემთხვევაში გამოსახული მონაკვეთი პეიზაჟისა — არქიტექტურული ნაგებობით, ეკლესია იქნება ეს, თუ ციხის გალავნის ნანგრევი, ან კოშკები, კომპოზიციის მხრივ ოსტატურადაა შერჩეული: მხატვარი მარჯვედ გამოჰყოფს მათ მთების ფონზე, მოხერხებულადავსებს თავისუფალ ადგილებს ნაგებობის ირგვლივ — მცენარეულობით, ხეების ფოთლების გვირგვინით, ქმნის გაწონასწორებელ მომენტებს, უპირისპირებს სურათის სიბრტყეზე ერთმანეთს ფერადოვან ლაქებს. პეიზაჟი და არქიტექტურული ძეგლი, როგორც პეიზაჟის შემადგენელი ნაწილი — მთლიან შთაბეჭდილებას ქმნიან.

შემოქმედების დასაწყის პერიოდში მხატვრის ყურადღებას იპყრობდა ძველი თბილისის გამოსახვა. ვ. ჯაფარიძის მრავალი ნამუშევარი გადმოგვცემს ძველი თბილისის ტიპიურ კუთხეებს, მისი ვიწრო, მიხვეულ-მოხვეული ქუჩებით, ხის აივნიანი სახლებით და მჭიდროდ შეჯგუფული ნაგებობებით. ერთ-ერთი ხედი ნარიყალას ციხის ნანგრევებითაა დაგვირგვინებული, მეორეზე — კლდეზე აღმართული მეტეხია გამოხატული და სხვ. ზოგჯერ პეიზაჟებში მხატვარს შეჰყავს ძველი თბილისის ყოფისათვის დამახასიათებელი მოტივები: დუქნის წინ ქუჩაზე დახლია გამოტანილი, სადაც ვაჭრობაა გამართული, ქუჩის სიღრმეში კაცი სახედარს მიერეკება. მართალია, ადამიანთა ფიგურები მხოლოდ ზოგადად, ესკიზურადაა აღნიშნული, მაგრამ ისინი ხაზს უსვამენ ძველი თბილისის სპეციფიკურ ხასიათს.

თემატიკურად ძველი თბილისის სურათებს უპირისპირდება აკვარელები, რომლებშიაც ახალი თბილისია ასახული; ამ ნამუშევრებში მაყურებლის წინ იშლება ახალი, სოციალისტური ქალაქის სახე. ქალაქ თბილისის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით საქართველოს მხატვრების წინაშე წამოიჭრა ამოცანა აესახათ თავის ნაწარმოებებში საქართველოს დედაქალაქის გარდაქმნილი სახე, მისი ფართო ქუჩები, ლამაზი მრავალსართულიანი სახლები, მდინარე მტკვრის ბეტონში ჩასმული ნაპირები და სხვ. ვ. ჯაფარიძე ფართოდ ეხმაურება ჩვენი დედაქალაქის ცხოვრების ამ მნიშვნელოვან მოვლენებს. წლების განმავლობაში მხატვარი ალბეჭდავს ახალი სოციალისტური თბილისის სხვადასხვა ადგილებს. ასეთია აკვარელები, სადაც გადმოცემულია მარჯანიშვილის სახ. აღმართი, სანაპირო ქუჩა, ჩელუსკინელთა ხიდი, უნივერსიტეტის ქუჩა; ზოგიერთი ნამუშევარი თვით ქალაქის მშენებლობას გადმოგვცემს (სანაპირო ქუჩის მშენებლობა).

საბჭოთა სინამდვილემ პეიზაჟის თემა მნიშვნელოვნად გაამდიდრა შინაარსობრივად, წინ წამოაყენა პეიზაჟის ახალი თემები, სახელდობრ, სოციალისტური მშენებლობის, ინდუსტრიული პეიზაჟის თემა. ამ თემამ ფართო გამოხატულება ჰპოვა ვ. ჯაფარიძის შემოქმედებაში, განსაკუთრებით უკანასკნელი წლების განმავლობაში. მისი ყურადღების გარეშე არ რჩება მნიშვნელოვანი მშენებლობანი, რომლებიც ჩვენს რესპუბლიკაში ხორციელდება. მხატვარი ასრულებს მთელ რიგ სურათებს, სადაც წარმოდგენილია სამგორის სარწყავი სისტემის, თეზი-ოკამის სარწყავი არხის და ორთაჭალჰესის მშენებლობანი. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ნამუშევრებშიაც გარკვეულად მჟღავნდება მისი მიდგომა ამოცანისადმი, როგორც პეიზაჟისტისა. უმრავლეს შემთხვევაში პეიზაჟის ხედია აღებული და მშენებლობის პროცესი, მისი ცალკეული მომენტები პეიზაჟის ფართო ფონზეა გადმოცემული. მხატვარს აინტერესებს გადმოსცეს თვით მშენებლობის პროცესი, რისთვისაც შეჰყავს კომპოზიციაში ადამიანის ფიგურები, რომლებსაც შრომით საქმიანობაში გამოსახავს.

ვ. ჯაფარიძე ქართული საბჭოთა რეალისტური პეიზაჟის ერთ-ერთი მოწინავე ოსტატია.

ნათელა ალადაშვილი

ვ. ჯაფარიძე. — ილია ჭავჭავაძის სახლი საგურამოში.





ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე. — წვიმის შემდეგ.

მარქსის სახ. საქ. სახელმწიფო
საჯარო
ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ. ჯაფარიძე. — ეტიუდი (გუაში).



ეროვნული ბიბლიოთეკა

კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში. ფრიდრიხ შილერის გარდაცვალების 150 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომის პრეზიდიუმი.

# შილერის დღეები საქართველოში

საბჭოთა ხალხმა ზეიმით აღნიშნა გერმანიის უდიდესი პოეტისა და დრამატურგის ფრიდრიხ შილერის გარდაცვალების 150 წლისთავი.

შილერისადმი მიძღვნილი საღამოები და სხდომები ჩატარდა რესპუბლიკის ბევრ სამეცნიერო დაწესებულებაში, ინსტიტუტებსა და სკოლებში.

თბილისში, მშვიდობის დაცვის საქართველოს კომიტეტმა, უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებამ და მწერალთა კავშირმა ა/წ 12 მაისს მარჯანიშვილის სახელობის თეატრში მოაწყვეს ამ თარიღისადმი მიძღვნილი დიდი საღამო.

საღამო მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის მდივანმა ი. აბაშიძემ. მოხსენება „ფ. შილერის ცხოვრება და შემოქმედება“ გააკეთა დოცენტმა დ. ლაშქარაძემ.

შილერისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომის შემდეგ მარჯანიშვილის თეატრმა უჩვენა ახალი სპექტაკლი ფრ. შილერის ტრაგედია „მარიამ სტიუარტი“.

მთავარ როლებს ასრულებდნენ სსრ კავშირის სახალხო არტისტი ვ. ანჯაფარიძე, საქართველოს სსრ სახალხო არტისტები ს. თაყაიშვილი, გ. შავგულიძე, შ. ღამბაშიძე, პ. კობახიძე, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი კ. დაუშვილი. დადგმა განახორციელა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ რეჟისორმა ვ. ყუშიტაშვილმა, მხატვარი — სტალინური პრემიის ლაურეატი ი. სუმბათაშვილი, კომპოზიტორი საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე კ. მეღვინეთუხუცესი.



ტრიბუნაზეა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელი ამხ. ვალტერ გრიუნერი.



ფ. შილერის „მარიამ სტიუარტი“ კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში. მესამე მოქმედება.

დადგმა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ვ. ყუშიტაშვილისა, მხატვრობა ი. სუმბათაშვილისა.

ფოტო ხ. ეგოროვისა

# მზრუნველი თავმჯდომარე

რევოლუციამდე ქვილიშორი იმერეთის უღარიბესი სოფელი იყო, აქაურ გლეხს სახლში გული არ უდგებოდა და თავის ეზო-მიდამოდან გარე სამუშაოზე გარბოდა. ქალამნიანი გლეხი დარდით და ბოღმით ტოვებდა ცოლ-შვილს და ბარში მიდიოდა, რათა ოჯახი დაღუპვას გადაერჩინა. ცოტა რამეს დააგროვებდა, ქუთაისში ორიოდე ფუთ სიმინდს იყიდდა და სახლ-კარს მიაშურებდა.

ახლა კი ქვილიშორელ გლეხს ეზო-გარემოს ვერ მოაშორებ. საკოლმეურნეო ცხოვრებით აღორძინებული ქვილიშორის მოსახლეობა დოვლათითა და სიკეთით გამართულა წელში.

ქვილიშორის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა გიორგი იოსელიანი 1950 წლის ოქტომბერში აირჩიეს თავმჯდომარედ. ამ წლამდე კოლმეურნეობა ჩამორჩენილი და ღარიბი იყო.

— როცა პირველ დღეს აქეთ მოვდიოდი, ათასი ფიქრი მაწუხებდა,—გვიამბობს გიორგი, — ვიცოდი ძნელი გზა მქონდა გასავლელი, მაგრამ რაკი ხელი მოვკიდე, მთელი ძალ-ღონით შევები საქმეს, თავი არ დავზოგე. მაშინ ჩვენს სოფელს არც ფოსტა ჰქონდა, არც კლუბი, არც სკოლა. წარმოიდგინეთ, კოლმეურნეობის კანტორა ერთ ოთახში იყო მოთავსებული. წყალი რომ წყალია, ისიც აკლდა სოფელს, ელექტრონზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო. ამ სოფელში არაფრის გაკეთება არ შეიძლებაო, ამბობდნენ ზოგიერთები, კლდიანი ნიადაგი აშინებდათ. სწორედ ნიადაგი შევისწავლე პირველად,— განაგრძობს გიორგი. — ქის მთხრელებისათვის მიყურებია, ისინი ოსტატის თვალით სინჯავენ ნიადაგს, გუმანით გრძნობენ წყლის სიახლოვეს. მეც ასე ვსწავლობდი ყოველ მტკაველ მიწას. გამგეობის პირველსავე სხდომაზე სოფლის მოხუცი გლეხები მოვიწვიე. გამოვკითხე, რჩევა ვთხოვე, ბევრი რამ მიამბეს, ბევრი კარგი რჩევა მომცეს. გულდაგულ შევუდექი მუშაობას.

* * *

მაღალი არ არის გიორგი, არც ბეჭგანიერი ბრგე შესახედაობის კაცია. ჰმები საფეთქლებთან ოდნავ შევერცხლილი აქვს. შავი წარბები და ულვაში ამშვენებს მის სანდომიან სახეს.

ტექნიკუმი ქუთაისში დაამთავრა გიორგიმ, ამის შემდეგ სულ პარტიულ სამუშაოზე გაატარა თავისი ცხოვრება, საქმეს ყოველთვის დაკვირვებით და ღრმა ცოდნით ეკიდებოდა. არასოდეს არ აჩქარებულა, არასოდეს არ დაუგვიანებია.

გიორგი ორი ვაჟის მამაა, უმცროსი მეათე კლასშია. უფროსი კი ლენინგრადში სწავლობს, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სუბტროპიკული ფაკულტეტის მეოთხე კურსზე. გიორგი უფროს ბიჭსაც სოფლის მეურნეობის სპეციალისტად ზრდის.

* * *

კოლმეურნეობის თავმჯდომარის სერიოზულმა მუშაობამ ნაყოფი გამოიღო. სოფლის დოვლათმა თანდათან იმატა და ოცნება სინამდვილედ იქცა.

იმატა ჩაის ბუჩქების ფართობებმა. გასულ წელს ამინდი არასახარბიელო იყო, მაგრამ ჩაის კრეფის გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს ქვილიშორელებმა. ამ ორი წლის მანძილზე ოცდაათ ჰექტარზე გააშენეს ჩაი, 1956 წელს ეს პლანტაცია უკვე მოიკრიფება და სოფლის შემოსავალს კიდევ რამდენიმე ასეული ათასი მანეთი მოემატება.

ქვილიშორელებს შესანიშნავი ჩაის მკრეფავები ჰყავთ. გასულ წელს გუგული გედენიძემ 1.000 კილოგრამის ნაცვლად 2.400 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი მოკრიფა. მან თხუთმეტი ათას მანეთამდე ფული აიღო და ოთხი ათასი კილოგრამი მარცვლეული მიიტანა ოჯახში.

ივანე ვარდანიძემ გასულ წელს 922 შრომადღე გამოიმუშავა, 2.100 კილო მარცვლეული და 16.000 მანეთამდე ფული მიიღო.

1953 წელს ქვილიშორელებმა ჰექტარ მიწაზე 1.900 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი მოკრიფეს, 1954 წელს კი ამავე ფართობზე 2.447 კილოგრამი მიიღეს. კოლმეურნეებმა შესძლეს შრომის კარგი ორგანიზაციით ახალი წარმატებების მიღწევა. მიუხედავად მთიანი ნიადაგისა, აქაურები დოვლათით ბარის მილიონერ კოლმეურნეებს არ ჩამორჩებიან.

გიორგის თავმჯდომარეობის პირველ წელს მეცხოველეობის საქმე ქვილიშორში ცუდად იყო. საქონელი მცირე იყო და საკვები ბაზა მეტად ღარიბი. წელს ქვილიშორელების ფერმა მთელ რაიონში განთქმულია, ფერმის მუშაკები — მწველელები და მწყემსები რაიონის საამაყო ადამიანები არიან.

წყალტუბოს რაიონში კარგად იცნობენ აქაურ ფერმის გამგეს, სამამულო ომის მონაწილეს ვიქტორ ქობალიას. იციან, რომ იგი საქმის მომთხოვნი, დარბაისელი და მცოდნე კაცია. მისი ფერმა სისუფთავით, საქონლის მოვლა-პატრონობით, ნამატის გამრავლებით და წველადობით ყველაზე მოწინავეა. ქვილიშორის კოლმეურნეობის რეკორდსმენი ძროხა „გამარჯვება" 2.200 ლიტრს იწველის წელიწადში. საინტერესო ის არის, რომ „გამარჯვება" ადგილობრივი, გაუმჯობესებული ჯიშის ძროხაა. სხვა ძროხებიც ბევრად არ ჩამოუვარდებიან რაიონის რეკორდსმენს; „დოსია" 1.700 ლიტრს იწველის, ხოლო „დოთო" — 1.900 ლიტრს. საერთოდ გასულ წელს წველადობამ თვითეულ ძროხაზე გეგმით გათვალისწინებულ 1000 ლიტრის მაგივრად, 1177 ლიტრს მიაღწია.

ქვილიშორელებს ფერმაში 469 სული საქონელი ჰყავთ. მათ შორის, 85 სული მეწველი ძროხაა, 162 ღორი, 207 სული თხა, 15 ცხენი. სოფელს მეფრინველეობის ფერმაც აქვს. რვაასამდე ქათამი, ინდაური და სხვა ფრინველი პურდება ყოველ დილით ქვილიშორელების მეფრინველეობის ფერმაში. ყველაფერი ეს შექმნილია საკვებ საშუალებათა მტკიცე ბაზაზე.

— გასულ წელს იმდენი რამ გავაკეთეთ, რომ ორ წელს ეყოფა საკვები ჩემს ფერმას,— სიამაყით აცხადებს გიორგი იოსელიანი.

მართლაც აქაურმა მეცხოველეებმა 1954 წელს 296 ჰექტარი ერთწლიანი კულტურებიდან 250 ჰექტარი სიმინდი დათესეს, ამას მიუმატეთ ღომი, საკვები ძირნაყოფა მცენარეები და მრავალწლიანი ბალახი, ექვსი სასილოსე ვეება კოშკი ციხე-სიმაგრესავით დგას ფერმის ახლოს. ზოგიერთი მათგანი ჯერ კიდევ ხელუხლებელია. ნოყიერი და სურნელოვანი ბალახები დაასილოსეს ქვილიშორელებმა, ამიტომ მათი საქონელი მსუქანი და კარგი შესახედავია.

უკვე თხუთმეტი წელია, რაც ივლიტა დანგაძე მწველელად მუშაობს ფერმაში. მისი მოვლილი ძროხები საშუალოდ 1.300 ლიტრს იწველიან. გასულ წელს მან 15.000 მანეთი ფული მიიღო და 2.750 კილოგრამი მარცვლეული მიიტანა სახლში.

ასევე კარგი მწველელებია იუსტინა ქობულია და ნინო ფრუიძე.

ამ ოთხი წლის მანძილზე ქვილიშორის კოლმეურნეობის ქონება ერთი მილიონი მანეთით გაიზარდა. თუ 1950 წელს განუყოფელი ფონდი 2.050.801 მანეთს შეადგენდა, 1954 წელს საკოლმეურნეო დოვლათმა 3.030.477 მანეთს მიაღწია. გასულ წელს თვითეულ შრომადღეზე კოლმეურნეებს 16 მანეთი და სამ კილოგრამამდე მარცვლეული დაურიგდა. წელს განზრახულია თვითეული ძროხის წველადობა 1.600 ლიტრამდე ავიდეს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ძროხები ადგილობრივი ჯიშის არიან.

— ეს კაცი ქვასაც წვენს გამოადენს,— ამბობენ გიორგი იოსელიანზე სოფელში, მართლაც, როცა ამ სოფლის კლდოვან ნიადაგს უყურებთ, ხიპი ქვის ტერასებს ათვალიერებთ, რწმუნდებით, რომ ეს სიტყვები ნამდვილად გამოხატავენ გიორგის ძალ-ღონესა და უნარს.

კოლმეურნეებს ახალი კანტორის უკან აკაციის ხეები ჩაურგავთ, გარშემო „ქართული" თუთის ხეები გაუმწკრივებიათ. გასულ წელს გიორგის ინიციატივით 8 კლასიან სკოლას რამდენიმე ოთახი მიუმატეს და ახლა 300 მოწაფე ყოველ დილით მზის ამოსვლასთან ერთად სოფელს აღვიძებს. ყოველ კვირას სოფლის კლუბში, რომელიც 1951 წელს ააშენეს ქვილიშორელებმა, ახალი კინოსურათი მიდის. კლუბი დიდია, 450 კაცს იტევს, ლამაზია და კარგად მოწყობილი. მის გარშემო შესანიშნავი ქვიტკირის გალავანი ამოუყვანიათ. კლუბში სამკითხველო მოუწყვიათ. იქვე ახალი მაღაზია, საექიმო პუნქტი და ფოსტა აუშენებიათ. ყველაფერი ეს ქვილიშორს ახალი სოფლის სახეს აძლევს.

წინათ წყალი უჭირდა სოფელს, ახლა 9 კილომეტრიდან მთის წყაროს წყალი გადმოიყვანეს, სოფელში თერთმეტი ონკანიდან კამკამა გემრიელი წყალი ილვრება, ერთი წვერი ფერმაშიც გაჰიმეს.

საამაყო ბევრი აქვთ ქვილიშორელ კოლმეურნეებს და კოლმეურნეობის თავმჯდომარეს გიორგი იოსელიანს, მაგრამ გასაკეთებელი კიდევ უფრო მეტი აქვთ, რადგან მათი შესაძლებლობაც განუსაზღვრელად დიდია და ფართო.

ს. ფხაკაძე,

მ. ასათიანი

ფოტოზე (მარცხნიდან მარჯვნივ): მწველელებს — ქუქუნა ქობალიას და ნინა შალამბერიძეს ესაუბრება კოლმეურნეობის თავმჯდომარე გიორგი იოსელიანი.

ფოტო პ. ლუცენკოსი



# ალექსანდრე სულაკაძე

## რუსული კულტურისა და ისტორიის მკვლევარი

**თეიმურაზ ჩიქოვანი**
ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი

როგორც ცნობილია, ვახტანგ მეფეს მოსკოვში დიდი ამალა გაჰყვა. მის ამალაში შედიოდა მრავალი სასულიერო პირი; აგრეთვე თავადები, აზნაურები და მსახურნი. სულ 1185 კაცი.

ქართველ ემიგრანტთა პირველი ტალღის შემდეგ, რომელიც ვახტანგ VI გაჰყვა, ქართველები მომდევნო წლებშიაც მიეშურებოდნენ რუსეთს. ვახტანგ მეფის გარდაცვალების შემდეგ მისი ამალის ნაწილი რუსეთში დარჩა. ასევე, შემდგომ წლებშიაც სამშობლოდან გადახიზნულმა ქართველებმა რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღეს და სამსახურში იქნენ გაწესებულნი.

რუსეთში ქართველები სამხედრო, პოლიტიკურ და კულტურულ მოღვაწეობის სხვადასხვა სარბიელზე მალე დაწინაურდნენ და ამით დიდად შეუწყვეს ხელი რუსი და ქართველი ხალხის პოლიტიკურ და კულტურულ დაახლოებას.

რუსი ხალხის გამოჩენილ შვილებთან ერთად, ზოგიერთი პროგრესულად მოაზროვნე ქართველი, რუსული კულტურისა და ისტორიის უანგარო მოამაგე გახდა. ასეთ ქართველთა რიცხვს ეკუთვნის XIX საუკუნის პირველი მეოთხედის მოღვაწე — პალეოგრაფი, ისტორიკოსი და ეთნოგრაფი ალექსანდრე ივანეს ძე სულაკაძე.

ცნობილ პალეოგრაფ მიკოლა მაკარენკოს სიტყვებით რომ ვთქვათ, ჯერ კიდევ „... XIX საუკუნის დასაწყისისათვის ალექსანდრე სულაკაძე საკმაოდ ცნობილ პიროვნებას წარმოადგენდა. მას კარგად იცნობდნენ იმდროინდელი ისტორიკოსები, არქეოგრაფები, პალეოგრაფები“... იგი კარგად იცნობდა რუსეთის ინტელიგენციის მოწინავე ადამიანებს და საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა მათ-



თან. ცნობილი რუსი ისტორიკოსი კარამზინი, ბოროზდინი, უვაროვი, რუმიანცევი და სხვები, განსაკუთრებით კი პოეტი გ. დერჟავინი, დიდად აფასებდნენ მის მოღვაწეობას.

როგორც რუსეთში მცხოვრებ ქართველთა უმეტესობას, ისე ალ. სულაკაძესაც თავისი მოღვაწეობა სამხედრო სამსახურით დაუწყია. საქვეყნოდ ცნობილ სემიონოვის პოლკში იგი ერთ-ერთ ყველაზე მოწინავე და ფრიად განათლებულ ოფიცრად ითვლებოდა. ჯერ კიდევ სამხედრო სამსახურში ყოფნისას, მას გულდასმით შეუსწავლია არა მარტო რუსეთის, არამედ მისი მეზობელი ხალხების ისტორიაც. ამავე დროსვე დაუწყია ძველი ხელნაწერებისა და ისტორიული დოკუმენტების შეგროვება. ძველი კულტურითა და ისტორიით გატაცებულს, სამხედრო კარიერა აღარ აინტერესებდა და ჯერ კიდევ ახალგაზრდა, ბრწყინვალე მომავლის ოფიცერს სამხედრო სამსახურისათვის თავი დაუნებებია. ამის შემდეგ მან მთელი თავისი ძალა და ენერგია საყვარელ საქმეს — რუსეთის ისტორიისა და კულტურის შესწავლას მოანდომა.

ალ. სულაკაძის მეცნიერული ინტერესი ერთი რომელიმე დარგით არ იყო შემოფარგლული. იგი ერთნაირად იყო დაინტერესებული პალეოგრაფიით, ისტორიით, ეთნოგრაფიით, არქეოლოგიით და ეკონომიური გეოგრაფიით. მის ბიბლიოთეკაში არსებულ შრომებისა და წიგნების სათაურებიდან ჩანს, რომ იგი თავისუფალი იდეების მქადაგებელი თუ არა, მათი მოზიარე მაინც ყოფილა. მას ჰქონდა შემონახული ისეთი წიგნები, რომლებიც მეფის ცენზურის მიერ ოფიციალურად აკრძალული, ანდა ეკლესიის მიერ დაწყევლილ-შეჩვენებული იყო.

ალ. სულაკაძის ბიბლიოთეკაში არსებული ხელნაწერების უმეტესობა მეტად ძვირფას და ზოგჯერ ერთადერთ ეგზემპლარს წარმოადგენდა. ამის ნათელსაყოფად საკმარისია მარტო ისიც, რომ მის მიერ შეკრებილ 1453 წ. მანიფესტებისა და ბრძანებების ხელნაწერთა კრებული თავის დროზე რამდენიმე ათას მანეთად იქნა შეფასებული. მაგრამ ალ. სულაკაძის დამსახურება მხოლოდ ძველი ხელნაწერების, დოკუმენტების და წიგნების შეგროვებით არ ამოიწურება. მას თავის დროზე ბევრი და დიდი მნიშვნელობის შრომაც შეუქმნია. სამწუხაროდ ჩვენამდე მხოლოდ ერთმა მოაღწია. დანარჩენები, რომელთა არსებობაც ეჭვს არ იწვევს, ჯერჯერობით არ არის აღმოჩენილი.

ალ. სულაკაძის დღემდე შემონახული ნაშრომი „აერონაოსნობის შესახებ რუსეთში“, რომლის ხელნაწერიც მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში ინახება, 1819 წელს არის დაწერილი. მეფის ჩინოვნიკებმა და იმდროინდელი რუსეთის საზოგადოებამ თავის დროზე ამ ნაშრომს ყურადღება არ მიაქციეს. რუსეთში საფრენოსნო საქმის ჩასახვისა და მისი განვითარებისადმი მიძღვნილი ეს პირველი ნაშრომი თითქმის 100 წლის განმავლობაში უყურადღებოდ იყო მიტოვებული. მხოლოდ 1911 წ. მთელს მსოფლიოში საფრენოსნო საქმის აღმავლობის პერიოდში ალ. სულაკაძის ნაშრომი, როგორც იქნა გამოსცეს.

თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ალ. სულაკაძის ნაშრომს საფრენოსნო საქმის ჩასახვისა და განვითარების ისტორიისათვის ამაზე ნათლად მიგვითითებს ის ცხოველი ინტერესი, რაც უცხოელებს გამოუჩენიათ. თითქმის იმავე წელს აღნიშნული ნაშრომი სთარგმნეს გერმანულად და ორიგინალთან ერთად იგი მრავალი წლის განმავლობაში იყო გამოფენილი მიუნხენის მუზეუმის აერონაოსნობის განყოფილებაში.

ალ. სულაკაძის აღნიშნულ ნაშრომში აღნუსხული და განხილულია ყველა ის ცდა საფრენოსნო საქმის ჩასახვის პერიოდში, რომელიც თავის დროზე რუსი ხალხის გამოჩენილი შვილების მიერ ჩატარებულა 906 წლიდან მოყოლებული ვიდრე XIX საუკუნის დასაწყისამდე. ამ ნაშრომში ჩვენ ვხვდებით ერთ მეტად საყურადღებო ცნობას, რომლითაც ნათელი ხდება, რომ მსოფლიოში პირველად რუსეთში იქნა გამოცდილი თბოაეროსტატი. 1731 წ. რიაზანის ვოევოდას სამსახურში მყოფ ნერეხტელ პოდიაჩ კრიაკუტნოის გამოუგონებია აერობურთი, რომლის საშუალებითაც მას რამდენიმე ხნის განმავლობაში უფრენია. მაგრამ აღშფოთებულ სასულიერო ხელისუფლებას და რიაზანის ვოევოდას „უწმინდური ძალის თანამოზიარე“ კრიაკუტნოისათვის კოცონზე დაწვა მიუსჯია. ბოლოს მსოფლიოში პირველი აეროსტატის გამომგონებელი ვითომც „შეიწყალეს“, შეაჩვენეს და რიაზანიდან წყევლა-კრულვით გააძევეს.

აღსანიშნავია, რომ კრიაკუტნოის ეს შესანიშნავი გამოგონება 52 წლით ადრინდელია, ვიდრე ძმები მონგოლფიები მოახდენდნენ თავიანთ პირველ აერობურთის გამოცდას საფრანგეთში.

მარტო ამ შრომითაც კი დიდად დასაფასებელია ალ. სულაკაძის მოღვაწეობა: მან ისტორიული დოკუმენტაციის გზით რუს ხალხს დაუბრუნა პრიორიტეტი აერონაოსნობის საქმეში.

# ლევან ასათიანი



ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდაიცვალა მწერალი ლევან ასათიანი.

ლევან ასათიანის მთელმა ცხოვრებამ დაძაბულ შრომაში განვლო. მან იმდენი რამ გააკეთა, რომ სრული უფლება გვაქვს გავიმეოროთ მის მიმართ ერთი ძველი ქართველი მწერლისა და მოღვაწის მიერ თავის თავზე თქმული სიტყვები: მოვიცალე სხვა ყოველთა კეთილთაგან და არა მოვიცალე საქართველოისა მსახურებისაგანო.

ფართოდ ცნობილია ლ. ასათიანის შრომები: „ქართველი პოეტი ქალები“, „ვოლტერიანობა საქართველოში“, „ცხოვრება აკაკი წერეთლისა“, „ი. სტალინი და ქართული ლიტერატურის საკითხები“, წერილები დ. გურამიშვილზე, ვაჟა-ფშაველაზე, ლესია უკრაინკაზე, ი. ფრანკოზე, ვ. მაიაკოვსკიზე, ქართველი და მოძმე ერების საბჭოთა მწერლებზე. გარდა ამისა, ის არის ავტორი რამდენიმე პიესისა, სცენარისა, მრავალი ნარკვევისა და ბიბლიოგრაფიული შენიშვნებისა. მის კალამს ეკუთვნის, აგრეთვე, წერილები თანამედროვე ქართულ თეატრზე, მხატვრობაზე და მრავალი პუბლიცისტური ხასიათის სტატია. ბოლო წლების განმავლობაში ის მუშაობდა მეორე კაპიტალურ ნაწარმოებზე — „ცხოვრება ილია ჭავჭავაძისა“. ამ ვრცელი ნაწარმოების დასაწერად ავტორმა უამრავი მასალა დააგროვა, ხოლო რამდენიმე თავი უკვე დაწერილი და დამუშავებული ჰქონდა. ეს დიდი მონოგრაფიული გამოკვლევა, სამწუხაროდ, მას დაუმთავრებელი დარჩა.

ლ. ასათიანი პატივისცემას იმსახურებდა იმითაც, რომ ის განსაკუთრებული სინდისითა და პასუხისმგებლობით ეკიდებოდა თავის მწერლურ მოვალეობას.

ლ. ასათიანს სიცოცხლის დიდი ხალისი ჰქონდა. უკურნებელი სენით დაავადებულს, მაინც ბოლომდე შერჩა სულიერი ძალა და იმედი, რომ მალე ფეხზე დადგებოდა და თავის სამუშაო მაგიდას დაუბრუნდებოდა. სამწუხაროდ, მას არ დასცალდა ბოლომდე ეთქვა თავისი სიტყვა, — სათქმელი კი ძალიან ბევრი დარჩა.

ლ. ასათიანთან საუბარი ყოველთვის სასიამოვნო იყო. ქართველ და სხვა ეროვნების მწერლებს, მხატვრებს, მსახიობებს ხშირად ნახავდით მის ოჯახში. იგი ცხოვრების კაცი იყო, ის დაინტერესებული იყო ყველაფრით, რაც მის გარშემო ხდებოდა და მხურვალედ ეხმაურებოდა ყველაფერს, როგორც თავის ნაწერებში, ისე საჯარო გამოსვლებსა და კერძო საუბრებში. ლევან ასათიანი პატრიოტი იყო და მოტრფიალე ხალხთა დიადი ლენინურ-სტალინური მეგობრობისა. აღსანიშნავია ამ მხრივ მისი ახლო მონაწილეობა გურამიშვილის დღეების ჩატარებაში უკრაინის ქალაქებსა და სოფლებში და საქართველოში ლესია უკრაინკის სახელის პოპულარიზაციის საქმეში. ლევან ასათიანს საკმაოდ იცნობდნენ მწერალთა წრეებში ჩვენი რესპუბლიკის გარეთ. მას ბევრი მეგობარი ჰყავდა რუსეთსა და უკრაინაში და ამიტომ იყო, რომ მის უდროო დაკარგვას, ეს შორს მყოფი ამხანაგებიც გულისტკივილით გამოეხმაურნენ.

ლევან ასათიანი ჩვენგან წავიდა სწორედ მაშინ, როცა მისი ნიჭი სულ გაფურჩქვნასა და აყვავებას განიცდიდა. იგი წავიდა, მაგრამ წარუშლელი ხსოვნა დასტოვა მის მეგობრებსა და პატივისმცემლებში — თავისი შესანიშნავი მოღვაწეობითა და კეთილშობილი მოსიყვარულე გულით.

**ს. კლდიაშვილი**

ანდრე კარბელაშვილი

ფოტო ოთ. თურქიასი

# ალლო, გისმენთ!



ეროვნული ბიბლიოთეკა





← ბევრს აუკრეფია ციფრები „05“. ეს სარემონტო ბიურო.

ყველაფერი უბრალოდ ხდება. მაგიდაზე ტელეფონის ზარი წკრიალებს.

— ალლო, გისმენთ.—ისმის ტელეფონში და აბონენტები საუბარს იწყებენ. ისინი ავტომატური ტელეფონების სადგურმა დააკავშირა ერთმანეთთან, ამ სადგურში კი ბევრი რამ საყურადღებო და საინტერესო ხდება.

## ავტოდარბაზი

სადგურის უფროსი ინჟინერი ლევან გოცირიძე დიდ დარბაზში შეგვიძღვა, ყოველი კუთხიდან მექანიზმების მონოტონური ხმაური ისმოდა.

— ეს ავტოდარბაზია, — თქვა ინჟინერმა, — აქ თავს იყრიან ტელეფონებიდან გამოსული ხაზები, ისე ერთდებიან და აკავშირებენ მოლაპარაკეთ, რომ ერთი ადამიანიც არ ერევა მათ მუშაობაში.

ხაზების დაკავშირება სპეციალური ხელსაწყოებითა და მექანიზმების — მაძიებლების საშუალებით ხდება.

ერთიმეორის თავზე განლაგებული მაძიებლები თითქმის ჭერს ებჯინებიან, მთელ სიგრძეზე გასდევენ ავტოდარბაზს.

ინჟინერი ერთ-ერთ დანადგართან შეჩერდა. მასზე ორი ტელეფონის აპარატი ეკიდა.

— ამ დანადგარზე თვალნათლივ შეგვიძლია დავინახოთ, თუ როგორ ერთდება ავტომატურად ორი ტელეფონი.

მან ერთი ყურმილი ასწია. დანადგარზე ტკაცანი გაისმა — რელეები ამუშავდნენ. მაძიებელმა სწრაფად დაატრიალა „ხელი“ და გარკვეული მდგომარეობა მიაღებინა. როცა ინჟინერმა ტელეფონის დისკოზე ნომრის აკრეფა დაიწყო, ახლა მეორე მაძიებელი „აწრიალდა“, ჯერ ადგილზე დააბრუნა „ხელი“, მერე კი, ლარივით გაჭიმულ ასეულ მავთულში უცნაური სიზუსტით შეაცურა, ისე რომ არც ერთ მათგანს არ გამოედო. როცა „ხელი“ გაჩერდა, ის მხოლოდ ერთ მავთულს ეხებოდა. იმავე წუთს ზარმა დაიწკრიალა მეორე ტელეფონში — მაძიებელმა აბონენტი მონახა!

ავტოდარბაზში მომუშავე მაძიებელთა მოძრაობებით ერთდებიან თბილისის ათასობით აბონენტები. ისინი ყოველ წუთს „მზად არიან“ შეკვეთების მისაღებად. იმის მიხედვით, თუ რა ციფრი იკრიფება ტელეფონზე, სადგურში შესაბამისი იმპულსები იგზავნება. თუ აიკრიფა ციფრი 3, ხაზში დენის 3 იმპულსი მიდის, თუ 0 — 10 იმპულსი და ა. შ. ამ იმპულსების ზეგავლენით მაძიებლები გარკვეულ მოძრაობებს ასრულებენ, ქმნიან მექანიკურ კომბინაციებს და აბონენტებს აკავშირებენ.

— თბილისის რამდენი აბონენტი იღებს ერთდროულად ყურმილს?

ეტყობა ინჟინერს გაუჭირდა ამ კითხვაზე პასუხის გაცემა — ერთ ხანს დაფიქრდა და მერე თქვა:

— ამას საკონტროლო მაგიდაზე დავინახავთ.

საკონტროლო მაგიდას წინ დაფა აქვს გაკეთებული. დაფაზე განუწყვეტლივ ციმციმებენ თეთრი, მწვანე და წითელი ფერის პატარა ნათურები. მაგიდასთან მორიგეები სხედან და დაფას შესცქერიან.

როცა აბონენტი იღებს ყურმილს, დაფაზე თეთრი ფერის ნათურა ინთება, როცა ნომრის აკრეფას დაამთავრებს — მწვანე, და თუ ყურმილს უმიზეზოდ დიდხანს აჩერებს ხელში — წითელი ფერის ნათურა ანათებს.

— ამხანაგო, — უცბად გაისმა მორიგის ხმა, — თქვენ უკვე კარგა ხანია გიჭირავთ ყურმილი, გთხოვთ დროზე აკრიფოთ ნომერი, სადგურს ნუ ტვირთავთ.

ეტყობა მორიგის სიტყვამ გასჭრა — წითელ ნათურასთან ერთად მწვანე ნათურამ იელვა, აბონენტმა ნომერი აკრიფა.

დაფაზე დაუსრულებლად განაგრძობენ ციმციმს უამრავი ნათურები და

მართლაც ძნელია უცბად ითქვას, თუ რამდენი აბონენტი იღებს ერთდროულად ტელეფონის ყურმილს. ინჟინერმა მაინც დაითვალა თეთრი ფერის ნათურები, გამოირკვა, რომ დღის 2 საათისათვის თბილისში ერთდროულად რეკავდა 160 აბონენტი.

როგორც მორიგეებმა გვაცნობეს, საკონტროლო დაფაზე კარგად იგრძნობა „დიდი ფეხბურთის“ დღეები. ფეხბურთის მოყვარულები ერთმანეთს ეკითხებიან ბილეთების შესახებ, წინასწარმეტყველობენ თამაშის შედეგებს, ნიშნავენ შეხვედრის ადგილებს და სხვ. მაგრამ როგორც კი „დინამოს“ სტადიონზე თამაში იწყება, ავტოდარბაზს უნებური „შესვენება“ აქვს; საკონტროლო დაფაზე აქა-იქ ანათებენ ნათურები. ეს საკვირველი არ არის: 40 ათასამდე თბილისელი „ავტომატურად ითიშება“.

დიდი ხანია, რაც საკონტროლო მაგიდასთან მორიგეობს ქსენია კილურაძე. თბილისის აბონენტების მომსახურებაში მას თმა გაუთეთრდა, მაგრამ ისევ მხნედ გამოიყურება და ხალისითა და გულისყურით განაგრძობს საყვარელი საქმის შესრულებას.

— პატივცემული ქსენია ლენინის ორდენოსანია, — სიამაყით ამბობს სადგურის ინჟინერი.

## 3000 ტელეფონის ნომერი ზეპირად

— ცნობათა ბიურო...
— რა მისამართზე ცხოვრობს?
— სახელი?



ავტომატური ხელსაწყოები ზედამხედველობასა და მოვლას საჭიროებენ. ამიტომ არის, რომ ტექნიკოსი ვ. ოქრუაშვილი დაკვირვებითა და გულისყურით ამოწმებს „გონიერ“ მაძიებელს, რომელმაც ამ დღეს ათასობით მოძრაობა შეასრულა.

— 3-00-57.

განუწყვეტლივ ისმის მორიგეების ხმა. აი, ერთი მათგანის წინ პატარა ნათურა აინთო. ეს აბონენტმა 09 აკრიფა. მორიგემ მისი შეკითხვა მოისმინა და უმალვე უპასუხა.

— განა ზეპირად პასუხობთ?
— დიახ.
— რამდენი ნომერი იცით ზეპირად?
— ვერ გეტყვით... დაახლოებით 3000, — სთქვა მარგალიტა აგამალოვამ.

3000!

მას არც სხვები ჩამორჩებიან. ანა კაკაბაძემ, იულია ხეჩუმოვამ, გალინა ტოროშელიძემ, უამრავი ნომრები იციან ზეპირად.

საშუალოდ, ცნობათა ბიუროს ყოველი მორიგე, საათში 100-ზე მეტ გამოძახებას პასუხობს.

აქ მომუშავეებს არ უყვართ ზედმეტი ლაპარაკი. ისინი ცდილობენ, რაც შეიძლება მეტ აბონენტს მოემსახურონ.

— ჩვენთვის სრულებით ზედმეტია აბონენტების მობოდიშება: „თუ შეიძლება“, „ძალიან გთხოვთ“, „გმადლობთ“, და სხვა, — ამბობენ ისინი და ღიმილით უმატებენ, — რასაკვირველია, ეს მხოლოდ აქ, სადგურში ყოფნისას...

## კროსი

კროსი — სადგურის ერთ-ერთი მთავარი ნაწილია. მიწისქვეშ გაყვანილი კაბელებით გრძელ დარბაზში შემოდის ათასობით მავთული და აქედან მიემართება ავტოდარბაზისაკენ. კროსში დადგმული მოწყობილობა საშუალებას იძლევა ყოველ წუთს გაისინჯოს აბონენტის ხაზი და დადგენილ იქნას დაზიანების ხასიათი. სწორედ ამ დარბაზში ხდება „დაჯარიმებაც“ — ტელეფონის გამოთიშვა, როცა აბონენტს დროულად არ შეაქვს გადასახადი.

კროსში მოთავსებულია 05 — დაზიანებათა ბიურო. ნამდვილ დაზიანებებთან ერთად, ხშირად „არანამდვილ“ დაზიანებებსაც ატყობინებენ ბიუროს აბონენტები.

— რამდენი ხანია ვრეკავთ, ტელეფონი კი არ პასუხობს, გთხოვთ შეამოწმოთ, ალბათ დაზიანებულია.

რამდენიმე წუთი და ყველაფერი გამორკვეულია — ტელეფონი მუშაობს, მაგრამ სახლში არავინ არის.

* * *

თუ ტელეფონის აპარატი დაზიანდა მაშინ ის ატს-ის სახელოსნოში მიაქვთ. ტექნიკოსები აპარატს ხსნიან, გულმოდგინედ სინჯავენ და როცა დიაგნოზს დაუსვამენ, შეკეთებას იწყებენ. სახელოსნოს გამგე მიხეილ ხარაზიშვილი აქ „უებარ მკურნალად“ ითვლება. ვინ იცის 39 წლის განმავლობაში რამდენი ათასი ტელეფონის აპარატი „მოურჩენია“. სხვადასხვა სისტემის აპარატებთან ერთად, სახელოსნოში დაზიანებული ტელეფონ-ავტომატებიც ჩანს.

— რატომ ზიანდებიან ხშირად ტელეფონ-ავტომატები?

— თავის მართლებას არ დავიწყებთ, — ამბობს კავშირგაბმულობის გამოცდილი ოსტატი, — ზოგჯერ ამაში ჩვენც მიგვიძღვის ბრალი. მაგრამ არც ზოგიერთი მოქალაქეა „უცოდველი“ ამ საქმეში. უმეტესად მათი უპატივცემო მოპყრობის შედეგად ზიანდებიან ისინი.

მართალი თქვა ძველმა ოსტატმა! განა ერთხელ და ორჯერ შეგვიმჩნევია ახალგაზრდა, მოსწავლე და ზოგჯერ დიდიც, უწესოდ რომ ექცევა ტელეფონ-ავტომატებს?!

— ტელეფონ-ავტომატები ხშირად „ექსპერიმენტების“ მსხვერპლი ხდებიან. „იქნებ პატარა ღილმა აამუშაოს ტელეფონი... ეს გაღუნული ფული რომ ძალით შევაგდო, დავრეკავ?... მრგვალი თუნუქი რომ ჩავაგდო რა იქნება“ — ხშირად ფიქრობენ პატარა „ცნობისმოყვარეები“ და იყრება ტელეფონ-ავტომატებში უჩვეულო საგნები! როცა საფულე ყუთებს ვცლით, 15 კაპიკიანებთან ერთად მათაც „აღმოვაჩენთ“ ხოლმე.

და ოსტატმა ფულების გროვაზე მიგვითითა.

— ასეთი „ექსპერიმენტების“ შემდეგ საფულისაკენ მიმავალი ხვრელი იჭედება და ტელეფონ-ავტომატი 15 კაპიკიანების „ყლაპვას“ მიჰყოფს ხელს. ტელეფონ-ავტომატებს ყველა თბილისელი მოქალაქე უნდა გაუფრთხილდეს დიდი იქნება თუ პატარა. ეს ჩვენთვისაც და მათთვისაც უკეთესია.

თბილისის ავტომატური ტელეფონების სადგური ნამდვილი ტექნიკის სამყაროა. მაგრამ ტექნიკას მუდმივი ზრუნვა, მოვლა ესაჭიროება. ამ საქმეში თავს იჩენენ ინჟინრები ვასილ კობაიძე, ისაკ სოიფერტისი, ტექნიკოსები — ფრიდონ ჯინჭარაძე, სერგო მანუსაჯიანი, დავით ხაფავა, მედეია უნაფქოშვილი, სერგო ზარაპოვი, ვახტანგ ლორთქიფანიძე და სხვები. ისინი ნიჭსა და გამოცდილებას არ ზოგავენ, რათა შეუფერხებლად იმუშაოს თბილისის ავტომატური ტელეფონების სადგურმა.



როცა ქალაქს ახალი აბონენტები ემატება, მ. აგამალოვას მხოლოდ მაშინ თუ უხდება სიებში ჩახედვა.



ტელეფონ-ავტომატიდან დარეკეს. დედ-მამა სახლში არ იყო და ყურმილი პატარა ბიჭუნამ აიღო. ასეთი „ბედნიერი“ შემთხვევა ხშირად როდი აქვთ ბავშვებს. ბიჭუნას თქვენ ზედა სურათზე ხედავთ.

# შრომა და სწავლა ჭაშაკიძისა

ფოტო Ნ. ᲜᲐᲑᲝᲠᲜᲘᲡ, ტექსტი Ი ᲤᲐᲜᲘᲐᲜᲔᲚᲘᲡ.



1. გავარვარებულ ღუმელთან სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხნის ცნობილი მჭედელი მიხეილ ჭაშაკიძე დგას.



2. ამ გრდემლთან მოიპოვა ვაშაკიძემ მოწინავე მუშის სახელი მან 4 წელიწადში შეასრულა 9 წლის საწარმოო გეგმა და ახლა 1959 წლის გეგმის ანგარიშში მუშაობს.



3. საღამოობით სახელოვანი მჭედელი თბილისის რკინიგზის ინჟინერთა ინსტიტუტში დადის, იგი სამშენებლო ფაკულტეტის საღამოს განყოფილების მეორე კურსის სტუდენტია.



4. გამოცდები დაიწყო... ვაშაკიძე ინსტიტუტის ბიბლიოთეკის ხშირი სტუმარია. საგნების ღრმად დაუფლებისათვის ბევრი წყაროს მოძებნა და შესწავლაა საჭირო.



5. პროფესორის ასისტენტის ნუნუ შანიძის ხელმძღვანელობით ვაშაკიძე პრაქტიკულ მეცადინეობას გადის ფიზიკურ კაბინეტში.



6. დღეს ვაშაკიძე მორიგ საგანს აბარებს. წარმოებაში მოწინავე მუშა სწავლაშიც მოწინავეა. მან კარგად უპასუხა ყველა შეკითხვაზე და დოცენტი ფრანგიშვილი სიამოვნებით უწერს მატრიკულში ხუთიანს.



7. ინსტიტუტიდან ვაშაკიძესთან ერთად ბრუნდებიან მისი მეგობრები ოთარი თხელიძე და სერგო ქურცილავა. ესენიც დღისით ქარხანაში მუშაობენ და საღამოობით სწავლას ეწაფებიან.

გაივლის რამდენიმე წელიწადი და ეს მუშა-სტუდენტები ინჟინრები გახდებიან.

# გრიგოლ ბაკურიანისძე

ოთარ ოთანიძე

განთქმულმა ქართველმა მოღვაწემ, ბიზანტიის იმპერატორის სამსახურში მყოფმა „დასავლეთის დიდმა დომესტიკმა“ გრიგოლ ბაკურიანისძემ 1083 წელს ბულგარეთში (ამ დროს ბიზანტიის იმპერიის ფარგლებში შედიოდა) დააარსა ცნობილი პეტრიწონის, ანუ ბაჩკოვოს მონასტერი. პეტრიწონის მონასტერი აშენებულ იქნა ქ. პლოვდივიდან 30 კილომეტრის დაშორებით, როდოპის მთებში, სოფ. ბაჩკოვოსა და მდინარე ჩეპელარის მახლობლად.

პეტრიწონის მონასტრის დამაარსებელი გრიგოლ ბაკურიანისძე წარმოშობით საქართველოდან, ტაოდან იყო, შვილი „ერისთავთ ერისთავისა“ ბაკურიანის. მამის გარდაცვალების შემდეგ დედას მთელი ადგილ-მამული და ქონება ქალიშვილებისათვის მიუცია მზითვად. ბავშვობიდანვე მემკვიდრეობას მოკლებულნი, გრიგოლი და მისი უმცროსი ძმა აბასი იძულებული გამხდარან თვითონვე გაეკვლიათ ცხოვრების გზა და ეძებნათ ბედნიერება ჯერ „საქართველოსა და სირიაში, ხოლო შემდეგ ბიზანტიაში... სადაც მიაღწიეს გამოჩენილ ადგილებსა და სიმდიდრეს“. ბერძენი ისტორიკოსი ქალის ანა კომნენის სიტყვით, გრიგოლი იყო „საშუალო ტანის, მაგრამ ძლიერი აგებულების ადამიანი“. ის იყო ნათელი გონების, მძლავრი და ცხოვრების გამოცდილებით მდიდარი პიროვნება, პატივმოყვარე და სიტყვა-ძუნწი. განსაკუთრებული ნიჭისა და სახელმწიფოს წინაშე დამსახურების წყალობით გრიგოლმა თავის ძმა აბასთან ერთად შესძლო ბიზანტიაში მაღალი პოსტების დაჭერა. ბიზანტიის იმპერატორების მიხეილ VII დუკას და ნიკიფორე ვოტანიატის დროს გრიგოლს ჯერ ყარსისა და ერზერუმის, ხოლო შემდეგ კი მაკედონიაში როდოპის მხარის სამხედრო მმართველად ნიშნავენ. ამ პერიოდისათვის აბას ბაკურიანისძე იმპერატორის ერთ-ერთ არმიას მეთაურობს და იღებს „მაგისტრის“ წოდებას, ხოლო 1083 წლისათვის იგი თვით გრიგოლის სიტყვით, უკვე აღარ არის ცოცხალი.



გრიგოლ ბაკურიანისძის სამარხო.

დაახლოებით 1080 წელს გრიგოლ ბაკურიანისძე დიპლომატიური მისიით ჩასულა საქართველოში ბანას, გიორგი II-სთან, რომელსაც ძალიან გახარებია „აღმოსავლის ზორავარის გრიგოლის ნახვა. გრიგოლ ბაკურიანისძეს გადაუცია გიორგი მეფისათვის „კარის (ყარსი) ციხე-ქალაქი და მისი მიმდგომი ქვეყანა“, სადაც საქართველოს მეფეს მცველად შავშელი აზნაურნი ჩაუყენებია.

გრიგოლ ბაკურიანისძე ძალზე დაახლოებული პიროვნება და თანამოღვაწე ყოფილა ბიზანტიის იმპერატორ ალექსი I კომნენისა, რომლის ტახტზე ასვლის საქმეში მან მარიამ დედოფალთან ერთად მნიშვნელოვანი როლი ითამაშა. უნდა აღვნიშნოთ, რომ მარიამი (მართა) იყო ასული საქართველოს მეფის ბაგრატ IV, შემდგომში მეუღლე იმპერატორ მიხეილ VII დუკასი და დედოფალი ბიზანტიისა. მარიამს მიხეილ დუკასთან ყავდა შვილი კონსტანტინე, რომელსაც ზრდიდა იმდროისათვის ერთ-ერთი ყველაზე უფრო განათლებული ადამიანი ბერძენი არქიეპისკოპოსი თეოფილაქტე ოხრიდელი.

1078 წელს ნიკიფორე ვოტანიატმა ტახტიდან ჩამოაგდო მიხეილ VII დუკა. მარიამ დედოფალი იძულებული შეიქნა ცოლად გაჰყოლოდა ახალ იმპერატორს. მაგრამ ნიკიფორე ვოტანიატის მეფობის პერიოდი არ ყოფილა ხანგრძლივი. ხანშიშესულმა იმპერატორმა, რომელსაც მემკვიდრე არ გააჩნდა, გადაწყვიტა გადაეცა სამეფო ტახტი გვერდითი შტოსათვის, სინადინების გვარისათვის, რამაც უკმაყოფილება გამოიწვია, როგორც მარიამ დედოფლის, ისე ალექსისა (მომავალი ბიზანტიის იმპერატორის) და მისი ძმის, ისააკ კომნენის მხრივ. უნდა ითქვას, რომ მარიამ დედოფალი იყო „სულიერი დედა“ ალექსი კომნენისა, ხოლო ისააკ კომნენს მეუღლედ ყავდა მარიამ დედოფლის ნათესავი ქართველი ქალი ირინა. მარიამ დედოფალმა და ძმებმა კომნენებმა შეჰკრეს კავშირი, რომელსაც გრიგოლ ბაკურიანისძეც მიემხრო. გადაწყდა, რომ ბიზანტიის სამეფო ტახტზე ავიდოდა ერთ-ერთი კომნენთაგანი, ხოლო მარიამის მემკვიდრეს, კონსტანტინეს, გაუნაწილებდნენ ხელისუფლებას. სწორედ ამ პერიოდში თურქ-სელჯუკებმა დაიპყრეს ქალაქი კიზიკი და ნიკიფორე ვოტანიატმა გასცა ბრძანება ალექსი კომნენს, როგორც დასავლეთის დიდ დომესტიკს, გაენთავისუფლებინა ეს მნიშვნელოვანი ქალაქი. ალექსი კომნენმა მომენტით ისარგებლა და თავისი მიზნების განსახორციელებლად იწყო ერთგული ჯარის ნაწილების კონცენტრაცია კონსტანტინეპოლში. შესაძლებელია, რომ კომნენის ეს განზრახვა ცნობილი გახდა ნიკიფორე ვოტანიატისათვის, რადგან მარიამ დედოფალმა 1081 წლის თებერვალში შეატყობინა კომნენებს, რომ იმპერატორი აპირებს მათ დაპატიმრებას და თვალების დათხრასო. კომნენებმა იმავე ღამით მოიწვიეს თათბირი უახლოეს თანამოაზრეებთან. ალექსი კომნენმა გაუზიარა გრიგოლ ბაკურიანისძეს თავისი ტრაგიკული მდგომარეობა. გრიგოლმა მოუსმინა მას და ურჩია, რომ იგი სასწრაფოდ გასულიყო კონსტანტინეპოლიდან, ჩასდგომოდა სათავეში ჯარის ნაწილებს, რომლებიც უკვე დედაქალაქის მახლობლად იმყოფებოდნენ და დაუყოვნებლივ ხელში აეღო ძალაუფლება, წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველგვარი დროის დაკარგვა მათთვის დამღუპველი იქნებოდა. „თუ ხვალვე განთიადისას დასტოვებ დედაქალაქს, — უთხრა მან ალექსი კომნენს,— თან გამოგყვები და დაგიცავ ყოველგვარი ძალდატანებისაგან, მაგრამ თუ გადასდებ ამ განზრახვის განხორციელებას, იცოდე, რომ მე პირადად შევატყობინებ ყოველივეს იმპერატორს და გაგცემ, როგორც შენ, ისევე შენ თანამოაზრეებს“. ალექსი კომნენმა დაუჯერა გრიგოლის რჩევას და შეჰპირდა, რომ მათი განზრახვის წარმატებით დამთავრების შემთხვევაში იგი გრიგოლს დაუთმობდა იმ თანამდებობას, რომელიც მას ეჭირა, — სახელდობრ დასავლეთის დიდი დომესტიკის ადგილს. ცნობილია, რომ 1081 წელს ნიკიფორე ვოტანიატმა უარი თქვა სამეფო ტახტზე და ბიზანტიის იმპერატორად გამოცხადდა ალექსი I კომნენი, ხოლო გრიგოლ ბაკურიანისძე დანიშნულ იქნა დასავლეთის დიდ დომესტიკად, ე. ი. იმპერიის ჯარების მხედართმთავრად ევროპაში.

გრიგოლ ბაკურიანისძე ბიზანტიის იმპერიაში დიდ მამულებს ფლობდა. ეს მამულები, — წერდა იგი, — მას ნაბოძები ჰქონდა იმ ღვაწლისათვის, რომელიც მიუძღვოდა ბიზანტიის იმპერიის აღმოსავლეთისა და დასავლეთის საზღვრების განმტკიცებისათვის წარმოებულ ბრძოლებში, რომლებშიაც იგი მონაწილეობდა ღლიდან ახალგაზრდობისა თვით ღრმა მოხუცებულობამდე.

ალექსი I კომნენის მეფობის პერიოდში გრიგოლ ბაკურიანისძე მონაწილეობდა ბიზანტიის იმპერიის ბრძოლებში ნორმანების წინააღმდეგ, რომლებმაც 1081 წელს რობერტ გიუსკარის მეთაურობით ალყა შემოარტყეს ბიზანტიის ქალაქს დრაჩს. ალექსი კომნენი გაეშურა დრაჩის განსათავისუფლებლად და გასცა ბრძანება, რომ მას დაუყოვნებლივ შეერთებოდა გრიგოლ ბაკურიანისძე მის მეთაურობის ქვეშ მყოფი მთელი ძალებით. 1081 წლის 18 ოქტომბერს ქალაქ დრაჩთან მომხდარ გადამწყვეტ ბრძოლაში ბიზანტიის არმია, რომლის მარჯვენა ფრთასაც გრიგოლ ბაკურიანისძე მეთაურობდა, დამარცხდა და უკუიქცა. ამ ბრძოლის დროს გრიგოლ ბაკურიანისძე ტყვედ ჩავარდნია ნორმანებს. ეხებოდა რა შემდგომში თავისი ცხოვრების მნიშვნელოვან მომენტს, იგი წერდა, რომ დატყვევებულ იქნა უცხო ხალხების მიერ თავისი ნათესავებითა და მახლობლებით. სამწუხაროდ, ცნობილი არაა, თუ როგორ იხსნა თავი გრიგოლმა ტყვეობიდან. ადვილი შესაძლებელია, რომ მან მიმართა იმ ეფექტურ საშუალებას, რაც დამახასიათებელი იყო იმ ეპოქისათვის, — კერძოდ, ფულით თავის გამოსყიდვას. ნორმანები, რომელთა ლაშქრობის მთავარი მიზანი ძარცვა-გლეჯა და გამდიდრდება იყო, რასაკვირველია, უარს არ იტყოდნენ შეთავაზებულ ოქროზე. 1083 წლის ზაფხულში გრიგოლ ბაკურიანისძე კვლავ ბიზანტიის არმიას მეთაურობს და წარმატებით ებრძვის ნორმანებს მაკედონიასა და ეპირში. 1086 წელს პაჭანიკები შემოესივნენ ბიზანტიის იმპერიას. მათ წინააღმდეგ ილაშქრებს გრიგოლ ბაკურიანისძე, ბიზანტიის იმპერიის „საუკეთესო მხედართმთავარი, რომლის სტრატეგიული ნიჭი კარგად იყო ცნობილი“. მას მოადგილედ თავისი მამაცობით განთქმული ნიკოლოზ ვრანა ჰყავდა. როდესაც ბიზანტიელები მიუახლოვდნენ ციხესიმაგრე ბელიატოვოს, სადაც დაბანაკებული იყვნენ პაჭანიკები, გრიგოლ ბაკურიანისძემ სტრატეგიულად არახელსაყრელი პირობების გამო, თავი შეიკავა იერიშისაგან. პაჭანიკებს კარგად გაემაგრებინათ ბელიატოვოს მისასვლელები და ასეთ პირობებში პირდაპირი იერიშით ციხე-სიმაგრის აღება და გამარჯვება საეჭვო იყო. მაგრამ ნიკოლოზ ვრანას დაჟინებული მოთხოვნით დაიწყო ბრძოლა, რომლის შედეგები საბედისწერო აღმოჩნდა ბიზანტიის არმიისათვის. ბიზანტიელები სასტიკად დამარცხდნენ. ამ ბრძოლაში გმირულად დაიღუპნენ ნიკოლოზ ვრანა და თვით დასავლეთის დიდი დომესტიკი გრიგოლ ბაკურიანისძე. როდესაც ეს სამწუხარო ამბავი შეიტყო ალექსი კომნენმა, მან მწარედ დაიტირა გრიგოლ ბაკურიანისძე, რადგან იმპერატორს „განსაკუთრებით უყვარდა ეს ადამიანი“.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბელიატოვოსთან მომხდარ ბრძოლამდე სამი წლით ადრე, გრიგოლ ბაკურიანისძეს დაუარსებია პეტრიწონის მონასტერი, ქართული კულტურის ეს უძველესი კერა ბულგარეთში, და მისთვის თავისი მრავალრიცხოვანი მამულები შეუწირავს: ციხე-სიმაგრეები, სოფლები, დიდძალი სახნავ-სათესი ადგილები, საძოვრები და ტყეები. პეტრიწონის მონასტერი სამი ეკლესიისა და საცხოვრებელი ბინებისაგან შედგებოდა. ის გარშემორტყმული ყოფილა კოშკებითა და მაღალი გალავნით, და მიუვალ ციხე-სიმაგრეს წარმოადგენდა. დღეს მონასტერს სულ სხვა სახე აქვს, რადგან რამდენიმეჯერ ყოფილა რეკონსტრუირებული. XI საუკუნის ნაგებობიდან ამჟამად დარჩენილია მხოლოდ „სამარხო“, რომელიც კლდეზე გადმომდგარ ორსართულიან ეკლესიას წარმოადგენს, კედელში გამოჭრილი ვიწრო სათოფურებით. ეს „სამარხო“ XII საუკუნეში მოუხატავს ვინმე „ივანე ივეროპულოს“, წარმოშობით ქართველს. ბაკურიანისძის „სამარხოს“ ერთ-ერთ ნიშაში გამოსახულია, აგრეთვე, პეტრიწონის მონასტრის კტიტორების გრიგოლ და აბასი ბაკურიანისძეთა ფრესკა. მონასტრის სიძველეთაგან აღსანიშნავია ქართულ წარწერიანი, ოქროთი მოჭედილი ღვთისმშობლის ხატი. წარწერიდან ჩანს, რომ ეს ხატი 1311 წელს მოუჭედავთ ეგნატის შვილებს ძმებ ათანასესა და ოქროპირს, რომლებიც წარმოშობით ტაოდან ყოფილან.

პეტრიწონის მონასტრის დაარსების შემდეგ გრიგოლ ბაკურიანისძეს მონასტრისათვის სპეციალური ტიპიკონი — წესდება შეუდგენია. ტიპიკონი დაწერილია ქართულად და ბერძნულად. როგორც აღნიშნავს პროფ. ნ. ბერძენიშვილი იგი წარმოადგენს იმ ეპოქაში ბიზანტიასა და ბულგარეთში არსებული ფეოდალური ურთიერთობის ამსახველ ძვირფას ისტორიულ დოკუმენტს. ქართულ ენაზე დაწერილი ტიპიკონი, რომელიც ამჟამად ინახება სოფიის ნაციონალურ ბიბლიო-



საჯარო

თეკაში, წარმოადგენს ასლს, რომელიც 1702 წელს გადაუწერია ახალციხელ ქართველ ბერს იოანე მარკოზაშვილს.

აღსანიშნავია, რომ გრიგოლ ბაკურიანისძე, რომელიც ბიზანტიის სამსახურში იმყოფებოდა, სასტიკად ილაშქრებდა ბიზანტიის სასულიერო ხელისუფლების წინააღმდეგ. გრიგოლ ბაკურიანისძე თავის ტიპიკონში ხაზს უსვამდა, რომ მონასტერი აშენებული იყო მხოლოდ და მხოლოდ ქართველთათვის, მის თანამემამულეთათვის. მონასტერში მყოფი ბერები, ტიპიკონის მიხედვით, ქართველები უნდა ყოფილიყვნენ ან სხვა ეროვნების წარმომადგენლები და არავითარ შემთხვევაში — ბერძნები. გრიგოლ ბაკურიანისძე დაჟინებით მოითხოვდა, რომ პეტრიწონის მონასტერში არასოდეს არ ყოფილიყო მიღებული ბერძენი ბერი, გარდა ერთისა, ისიც მხოლოდ ბერძნულის მწერლად. გრიგოლ ბაკურიანისძის ასეთი დამოკიდებულება ბერძნებისადმი აიხსნებოდა, ჯერ ერთი, იმ დაუცხრომელი ბრძოლით, რომელიც ბერძენ და ქართველ სასულიერო პირთა შორის წარმოებდა, როგორც ათონის, ისე შავი მთისა და იერუსალიმის მონასტრებში, და მეორეც, იმ გარემოებით, რომ ამ პერიოდში „ქართველებმა ეკლესიურ-კულტურულად და თან ეროვნულადაც კატეგორიულად დაუპირისპირეს თავისი თავი ბერძნულ-ბიზანტიურ მსოფლიოს“. გრიგოლ ბაკურიანისძე იხსენიებს ბერძენ სასულიერო პირთ, როგორც ძალადობასა და ანგარებას ჩვეულთ, რომლებიც იტაცებდნენ და ისაკუთრებდნენ ხოლმე სხვა ეროვნების, კერძოდ, ქართველთა მონასტრებს. ამიტომ იყო, რომ გრიგოლ ბაკურიანისძემ პეტრიწონის მონასტერი გამოაცხადა დამოუკიდებლად ადგილობრივი საეკლესიო ხელისუფლებისაგან, რომელიც კანონიკურად არ ემორჩილებოდა არც კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს და არც პლოვდივის სამიტროპოლიტოს.



გრიგოლ ბაკურიანისძის სასპასპეტო ჯვრის ქართული წარწერა.

იმ ვითარებაში, როდესაც ბიზანტიამ მთელი ბულგარეთი თავის პოლიტიკურ ძალაუფლებას დაუმორჩილა და ცდილობდა ბულგარული კულტურისა და ენის მოსპობით და, აგრეთვე, მონასტრებში ბერძენ სასულიერო პირთა ჩაყენებითა და არაბერძნულ ენაზე ღვთისმსახურების აკრძალვით ქვეყნის სრულ ელინიზაციას, ბულგარეთში ქართული მონასტრის არსებობას უდავოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა.

გრიგოლ ბაკურიანისძემ, აგრეთვე, შესძლო მონასტრის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა სახელმწიფო ხელისუფლებისაგან. სპეციალური ხრივოსულის თანახმად, რომელიც მან იმპერატორს გამოთხოვა, მონასტრის კუთვნილ ადგილებს საწუდამო ავტონომია და თავისუფლება ენიჭებოდა. მონასტერი განთავისუფლებული იყო ყოველგვარი ბეგარა-გადასახადისაგან და არ ემორჩილებოდა არავითარ საერო ხელისუფლებას.

გრიგოლ ბაკურიანისძე მონასტერთან აარსებს მთელ რიგ საქველმოქმედო დაწესებულებებს: თავშესაფარებს და საავადმყოფოებს, უწევს ღატაკთ ფულად დახმარებას. მაგრამ ყველაზე საინტერესო ის არის, რომ მან მონასტერთან ჩამოაყალიბა სემინარია, სადაც სწავლა ქართულ ენაზე წარმოებდა. ამ სემინარიას სათავეში ჩადგომია ქართველი ფილოსოფოსი იოანე პეტრიწი, რომელსაც თავისი ნაყოფიერი მოღვაწეობის უმნიშვნელოვანესი პერიოდი პეტრიწონის მონასტერში გაუტარებია. იოანემ ამ მონასტრისაგან მიიღო სახელი პეტრიწი. ფრანგი მეცნიერი ლუი პეტი პეტრიწონის მონასტერში არსებული სემინარიის შესახებ წერდა: „ჩვენ აქ გვაქვს მეტად იშვიათი, შეიძლება, ერთადერთი მაგალითი ბიზანტიაში სემინარიის არსებობისა, ამ სიტყვის თანამედროვე მნიშვნელობით“. პროფ. კ. კეკელიძე, ეხება რა პეტრიწონის მონასტრის მნიშვნელობის საკითხს ქართული მწერლობისათვის, აღნიშნავს: „პეტრიწონის მონასტერი გახდა ერთ-ერთ უმთავრეს ცენტრად ჩვენი მწერლობისა, განსაკუთრებით XI — XII საუკუნეებში. აქ დამუშავდა განსაკუთრებული სალიტერატურო სკოლა, რომელსაც ჩვენ ვუწოდებთ პეტრიწონულ სკოლას. საგანგებო ყურადღება ამ სკოლაში მიქცეული ქონდა განყენებულ დოგმატური და ფილოსოფიური ხასიათის თხზულებათა დამუშავებას, რამაც ხელი შეუწყო ქართული ფილოსოფიური ენისა და ტერმინოლოგიის შექმნას“. პეტრიწონის სკოლის ტრადიციების გამგრძელებლად საქართველოში გამოდის დავით აღმაშენებლის მიერ დაარსებული გელათის მონასტრის აკადემია, „რომელიც იქცა საქართველოში ათინად, როგორც ცენტრი სწავლა-განათლებისა და მწერლობისა“. პეტრიწონის მონასტრის სალიტერატურო ტრადიციების მიმდევრებად გვევლინებიან ქართველი მოღვაწენი: არსენ იყალთოელი, არსენ ბერი, ნიკოლოზ გულაბერისძე და სხვ.



პეტრიწონის მონასტრის ქართული ტიპიკონის პირველი გვერდი.

პეტრიწონის მონასტერი ეკუთვნოდა უცხოეთში დაარსებულ იმ არამრავალრიცხოვან კულტურულ კერათა რიცხვს, სადაც ქართველების მოღვაწეობა და სამწერლო-შემოქმედებითი მუშაობა, ისტორიული ქარტეხილების მიუხედავად არ შეწყვეტილა საუკუნეების მანძილზე. სამშობლოდან გადახვეწილ თავის შვილებისათვის და მათი სასიქადულო საქმისათვის საქართველოს შეხძლებლობისდაგვარად არ მოუკლია თავისი მზრუნველი ხელი. დავით აღმაშენებელი, ნათქვამია „ქართლის ცხოვრებაში, თავის უხვ წყალობას არ აკლებდა უცხოეთში არსებულ ქართულ კულტურულ კერებს და, მათ შორის, პეტრიწონის ქართულ მონასტერს ბულგარეთში.

მთელი რიგი ფაქტებიდან ჩანს, რომ პეტრიწონის მონასტერი, დაარსებიდან 100 წლის შემდეგაც, ისევ ქართველთა ხელშია. პეტრიწონის მონასტრის გარშემო მომხდარი ამბები შუქს ფენენ მის შემდგომ ისტორიას. ჯვაროსანთა მესამე ლაშქრობის დროს მონასტრის წინამძღვრად ქართველი ყოფილა. ასე, მაგალითად, ანსბერტი — იმპერატორ ფრიდრიხ I ბარბაროსას მემატიანე — მოგვითხრობს თავის წიგნში პეტრიწონის მონასტრის შესახებ: რომელიღაც მარშალს, რომელიც იმპერატორთან დაახლოვებული პიროვნება ყოფილა, ჩაუყენებია სამხედრო გარნიზონი ერთ კარგად გამაგრებულ და ცნობილ ციხე-სიმაგრეში, სადაც ბერებსაც ჰქონიათ სადგომი. ბერებთან ერთად მას იმპერატორთან მიუყვანია წინამძღვარიც, წარმოშობით ქართველი, რომელიც იმპერატორს გულთბილად მიუღია და შემდგომში პატივისცემით გაუთავისუფლებია. ქართველები შემდეგ საუკუნეებშიაც მოღვაწეობდნენ პეტრიწონის მონასტერში. პროფ. ა. შანიძის ცნობით, ჩვენამდე მოღწეულია ერთი კარგა მოზრდილი ხელნაწერი, რომელიც პეტრიწონის მონასტერში ყოფილა გადაწერილი XIV საუკუნეში. ეს ხელნაწერი ერთ დროს სვანეთში ინახებოდა და ამჟამად საქართველოს მუზეუმშია დაცული. XV საუკუნიდან კი ქართველთა კვალი პეტრიწონის მონასტერში უკვე აღარ ჩანს.

1949 წელს ქართველ მეცნიერთა დელეგაციამ პროფ. ნ. ბერძენიშვილის, პროფ. ა. შანიძის და დოც. ო. გიგინეიშვილის შემადგენლობით ინახულა ბულგარეთში პეტრიწონის მონასტერი და მრავალი ძვირფასი დოკუმენტი გამოავლინა, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ, როგორც საქართველოს, ისე ბულგარეთის ისტორიისათვის.

# ახალი წიგნები



## ანდრო თევზაძის ლექსები

გამომცემლობა „საბჭოთა მწერალმა“ გამოსცა პოეტ ანდრო თევზაძის ლექსების კრებული. იგი პოეტის ნაწარმოებების ერთტომეულია და წარმოადგენს ავტორის თავისებურ შემოქმედებით ანგარიშს.

წიგნი შეიცავს შემდეგ განყოფილებებს: „შენი სახელი მარადი“, „მამულო საყვარელო“, „დიდება გმირებს“, „მომავლის სიმღერა“, „გარდასულ დროთა შარავანდედი“, „სიჭაბუკის ოცნებანი“. წიგნში ცალკეა გამოყოფილი პოეტის მიერ პიონერული ასაკის ბავშვებისათვის დაწერილი ლექსები („სამშობლოს ყვავილები“).

კრებულის ბოლოს მოთავსებულია პოემა „სისხლიანი ბილიკები“. წიგნი შეიცავს 292 გვერდს და ღირს 6 მან. და 30 კაპ.

## ინგლისური ბალადები

საბლიტგამმა გამოსცა გივი გაჩეჩილაძის მიერ თარგმნილი ინგლისური ხალხური ბალადები — „რობინ ჰუდი“.

წიგნში უმთავრესად შეტანილია ცნობილი ბალადები ინგლისელი ხალხის საყვარელ გმირ რობინ ჰუდზე.

წიგნის მეორე განყოფილებაში მთარგმნელს შეუტანია ინგლისური ხალხური პოეზიის სხვა ძეგლები. აქ მოთავსებულია რამდენიმე ლირიკულ-ეპიკური და ლირიკულ-დრამატული ბალადა, რომლებშიც მოცემულია ეპოქის დამახასიათებელი განწყობილება და ყოფა-ცხოვრების სურათები.

დასურათებულია მხატვარ ალ. ბანძელაძის მიერ.

წიგნის რედაქტორია ო. ჩხეიძე. წიგნი შეიცავს 132 გვერდს და ღირს 3 მან. და 30 კაპ.



# დრიბლინგი და ბურთის გადაცემა

უკანასკნელ წლებში საბჭოთა ფეხბურთის თამაშის კლასი საგრძნობლად ამაღლდა. ეს ჩანს, თუნდაც, საერთაშორისო მატჩების შედეგებიდან. მიუხედავად ამისა, შეიძლება დავასახელოთ მთელი რიგი ნაკლოვანებებისა, რომლებიც ხელს უშლიან ოსტატობის შემდგომ ზრდას. ამ წერილში მინდა შევჩერდე ჩამორჩენის ერთ-ერთ მიზეზზე — ისეთი ძლიერი იარაღის როლის შეუფასებლობაზე, როგორიცაა დრიბლინგი.

ტაქტიკური კომბინაციის განხორციელება დამოკიდებულია მოთამაშეთა ტექნიკურ მომზადებაზე, თვითეული მათგანის ინდივიდუალურ თვისებებზე. თუ ეს უკანასკნელი სუსტადაა განვითარებული კომბინაციას პრიმიტიულობა ემჩნევა, სიმძაფრე ეკარგება.

თავდამსხმელთა ტაქტიკურ არსენალში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ბურთის გადაცემასა და დრიბლინგს — ეს საშუალებები ერთ და იმავე მიზანს ემსახურება — რიცხობრივი უპირატესობის შექმნასა და მოწინააღმდეგის კართან მიახლოებას.

რამდენჯერ ვყოფილვართ მოწმე ჩვენი თავდამსხმელების უსუსურობისა, როდესაც ბურთთან ერთად აღმოჩნდებიან მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანზე და იმის მაგივრად, რომ დამცველი მოატყუონ და თვითონ გავიდნენ კარის ასაღებად, ცდილობენ რაც შეიძლება სწრაფად მოიშორონ ბურთი (დაკარგვისა ეშინიათ), აწოდებენ პარტნიორს ისე, რომ არ ითვალისწინებენ, რა გარემოებაშია ეს უკანასკნელი.

როდესაც მოთამაშე დრიბლინგს გარეგნული ეფექტისათვის იყენებს და ატყუებს მოწინააღმდეგეს მხოლოდ იმისათვის, რომ მოატყუოს, მაშინ მას ზიანის მოტანაც შეუძლია. ასეთი „ინდივიდუალისტების“ წინააღმდეგ დიდი ხანია წარმოებს ბრძოლა, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ლაშქრობა იმდენად არასწორად იქნა გაგებული, რომ შედეგად დაზარალდა საერთოდ ყოველგვარი (სასარგებლოც და აუცილებელიც) ინდივიდუალური თამაში.

ომის შემდგომ წლებში შესამჩნევი გახდა არა მარტო ოსტატთა, არამედ მეორეხარისხოვანი გუნდების მწვრთნელთა თავგამოდებული ბრძოლა ფეხბურთელის ინდივიდუალური თვისებებისა და პირადი ინიციატივის წინააღმდეგ. ნიჭიერი ახალგაზრდა ფეხბურთელი ოსტატთა გუნდში გადასვლის შემდეგ, ჰკარგავდა თავის სახეს, თამაშობდა „როგორც ყველა“. რადგან მწვრთნელი მისგან მოითხოვდა მხოლოდ „პასებით“ თამაშს — კოლექტიურ თამაშს. შეიძლება უცნაური მოგვეჩვენოს, მაგრამ ინდივიდუალური თამაშის წინააღმდეგ უფრო ხშირად ილაშქრებდნენ ის მწვრთნელები, რომლებიც ახალგაზრდობისას არც ინდივიდუალური თვისებებით გამოირჩეოდნენ და არც ძლიერ ფეხბურთელებად ითვლებოდნენ. ასეთმა დამოკიდებულებამ გავლენა იქონია, როგორც ცალკეული ფეხბურთელების ოსტატობაზე, ასევე გუნდის თამაშზე. გული დაგწყდება, როდესაც დამცველი „ერთი შეხედვით“ ხვდება თავდამსხმელის განზრახვას და „ფეხის გაუნძრევლად“ ართმევს ბურთს. ეს იმის ბრალია, რომ თავდამსხმელი, როგორც წესი, დრიბლინგის მხოლოდ ორ-სამ ილეთსაა დაუფლებული.

ფეხბურთის მრავალ მოყვარულს, ალბათ, კარგად ახსოვს დრიბლინგის ბრწყინვალე ოსტატი, გამოკვეთილი „ინდივიდუალისტი“ პეტრე დემენტიევი. მისი თამაშის სტილი რომ მცდარი და „საზიანო“ ყოფილიყო, სპორტულ არენაზე გამოჩენისთანავე, 18 წლის ასაკში, როდი შეიყვანდნენ საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში. სამწუხაროდ, მას შემდეგ ჩვენ აღარ გვყოლია დრიბლინგის ასეთი შესანიშნავი ოსტატი. მაღალი ინდივიდუალური ტექნიკის ოსტატების — პ. დემენტიევის, ვ. სმირნოვის, ვ. დიომინის, გ. ჯეჯელავას, ავ. ღოღობერიძის და სხვების თამაში იმითაც იქცევდა ყურადღებას, რომ მათ ჰქონდათ ბურთის „შენარჩუნების“ უნარი — ტყუილ-უბრალოდ არ ატანდნენ მოწინააღმდეგეს, ზუსტად საზღვრავდნენ ბურთის გადაცემის მომენტს. ალბათ ამ სტრიქონების წაკითხვისას ფეხბურთის მოყვარულებს გაახსენდებათ, რომ ზემოთ ჩამოთვლილი სპორტსმენები ხშირად ცოდავდნენ თავიანთი ინდივიდუალური თამაშით, „ბოროტად“ იყენებდნენ დრიბლინგს. ასეც რომ ყოფილიყო, ერთი ცხადია — იმის შიშით, რომ მათ უნარი შესწევდათ ყოველთვის გამარჯვებულნი გამოსულიყვნენ ორთა ბრძოლაში და კარისკენ გაჭრილიყვნენ, მოწინააღმდეგის თავდაცვა მუდმივად დაძაბულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. თუნდაც ამ გარემოების შექმნით, თავდამსხმელები დაუფასებელ სამსახურს უწევდნენ გუნდს. დღეს, ჩვენს ფეხბურთელებს შორის, გაცილებით მეტია თავიანთი უსუსურობით და უინიციატივობით „აღსანიშნავი“ ფეხბურთელები, ვიდრე ოდესმე გვყოლია „პირწავარდნილი ინდივიდუალისტები“. დრიბლინგის უგულებელყოფასთან ერთად უფერულდება მოთამაშეთა მოქმედება. იკარგება რისკიანი (გამართლებულიც რომ იყოს) მოქმედების სურვილი, თამაში მიმდინარეობს მოდუნებულად, უტემპერამენტოდ.

მაგრამ დრიბლინგი ყოველთვის როდია გამართლებული. თუ თავდამსხმელი აპირებს დამცველის მოტყუებას და ორთა ბრძოლაში ებმება, მას ყოველთვის უნდა ახსოვდეს — მოწინააღმდეგე ზურგს უკან მოიტოვოს, რადგან მხოლოდ ასე იქმნება რიცხობრივი უპირატესობა.

მრავალი ჩვენი ფეხბურთელი კი, ჰკარგავს რა ზომიერების გრძნობას, ვეღარ ირჩევს დრიბლინგის შეწყვეტისა და ბურთის გადაცემის მომენტს. ასე რომ მრავალსვლიანი მოტყუების შემდეგ მოწინააღმდეგე ისევ მის წინ დგას, ისევ ხელსაყრელი პოზიცია უჭირავს, ისევ მზად არის ბრძოლაში ჩასაბმელად. ასეთ თავდამსხმელს მთელი ყურადღება ბურთზე აქვს გადატანილი, ვერაფერს ვერ ხედავს, მოწინააღმდეგის ფეხებს გარდა და, რა თქმა უნდა, ვერ ერკვევა მოედანზე შექმნილ ვითარებაში. ამიტომ ბურთს ადვილად ჰკარგავს ან აწოდებს ისეთ პარტნიორს, რომელიც საიმედოდაა „დახურული“. ამ უკანასკნელამდე ბურთი, რასაკვირველია, ვერ აღწევს, და იერიშის დამთავრების მაგივრად გუნდი იძულებულია, კონტრიერიში მოიგერიოს.

მოთამაშის ოსტატობა სწორედ იმით ხასიათდება, რომ ატყუებს რა მოწინააღმდეგეს, ერთი წუთითაც არ უშვებს მხედველობიდან თავის პარტნიორებსა და მინდორს. ინდივიდუალურად მძლავრ მოთამაშეებში ეს თვისება განსაკუთრებით ვლინდება უაღრესად დაძაბულ მომენტებში — მოწინააღმდეგის კარის სიახლოვეს, როდესაც პარტნიორები „ჩაკეტილნი“ არიან და საჭიროა თვითონ გამოიჩინოს ინიციატივა, თვითონ გადასწყვიტოს ამოცანა — მოატყუოს დამცველი და ბურთი კარისკენ გაგზავნოს. ასეთი თვისებით დაჯილდოებულნი იყვნენ სახელგანთქმული ფეხბურთელები — გ. ფედოტოვი, ნ. დემენტიევი, კ. ბესკოვი, ა. პონომარიოვი, ვ. ტროფიმოვი, ვ. პანიუკოვი, მ. ბერძენიშვილი და სხვები.

არანაკლები მნიშვნელობა აქვს ე. წ. „კარის გრძნობას“. ხშირად მოთამაშე ბურთს იღებს მოწინააღმდეგის კარისკენ ზურგშექცეული. მას დრო არ რჩება უკან მოხედვისა (ბურთს დაკარგავს) და გადასწყვეტს რა მოწინააღმდეგის მოტყუებას, დაახლოებით უნდა გაითვალისწინოს ის წერტილი, სადაც აღმოჩნდება მოწინააღმდეგის უკან ჩამოტოვების შემდეგ, და წინასწარ უნდა დაიგულვოს კარების მდებარეობაც იმ წერტილის მიმართ.

თამაშის ტექნიკის მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს ცრუ მოძრაობანი (ფინტი), ურომლისოდაც დრიბლინგი წარმოუდგენელია. ცრუ მოძრაობა უნდა იყოს დამაჯერებელი, დამცველის ყურადღების მიმქცევი და ამავე დროს ნამდვილი მოძრაობის შემნიღბავი. ცრუ მოძრაობა მრავალნაირია, მათ კარგად იცნობენ ფეხბურთელები, მიუხედავად ამისა, ზოგიერთები ცუდად იყენებენ. ცრუ მოძრაობის შესრულების ცოდნა არაა საკმარისი, თავდამსხმელმა ზუსტად უნდა ამოირჩიოს მისი დაწყების მომენტიც, ეს კი თავის მხრივ დამოკიდებულია მანძილზე თავდამსხმელსა და დამცველს შორის, ხშირად ფეხბურთელები ცრუ მოძრაობას ადრე იწყებენ, დამცველი რომ „წამოეგოს“ კიდევაც, მაინც ასწრებს წონასწორობის აღდგენას და ბრძოლის გაგრძელებას. ამისათვის, რომ თავდამსხმელი პირდაპირ „გაემართოს“ დამცველისკენ (ეს არ აშინებს მას, პირიქით, ამშვიდებს და ყურადღებას უნელებს) და მხოლოდ ამის შემდეგ გამოიყენოს ცრუ მოძრაობა, იგი ბრწყინვალედ უნდა ფლობდეს როგორც ბურთს, ისე სხეულს.

დიდი მნიშვნელობა აქვს, აგრეთვე, ცრუ მოძრაობით შესრულების სიჩქარეს. მოწინააღმდეგემ უნდა მოასწროს რეაგირება. თუ ცრუ მოძრაობა მოულოდნელად და უხეშად შესრულდა, მას არ მოაქვს სასურველი შედეგი, რადგან დამცველი ვერ ასწრებს „აყოლას“ და ძველ მდგომარეობაში რჩება. თუ თავდამსხმელი თამაშობს „ნაცნობი“ დამცველის წინააღმდეგ, ცრუ მოძრაობა უნდა შეარჩიოს მისი თვისებების (ტექნიკა, სიჩქარე) მიხედვით. თავდამსხმელს ყველგან უნდა შეეძლოს თამაში. მაგალითისთვის ავიღოთ დრიბლინგი პირითი ხაზის გასწვრივ. ამ შემთხვევაში პირითი ხაზი დამცველის დამხმარეა, რადგან თავდამსხმელს იქითკენ გზა გადაკეტილი აქვს. ამიტომ მოწინააღმდეგე ელოდება მის გაჭრას მოედნის სიღრმისაკენ და ჩრდილივით იმეორებს თავდამსხმელის ყოველ მოძრაობას. თუ ეს უკანასკნელი კარგად ფლობს ცრუ მოძრაობას, შეუძლია სულ მცირე ფართობზედაც მოატყუოს დამცველი და გაიჭრას ვიწრო „დერეფანში“. განა დამტკიცებას საჭიროებს ის, რომ პირითი ხაზის გასწვრივ თამაში გარემარბების გარდა, დანარჩენმა მოთამაშეებმაც უნდა იცოდნენ?

ჩვენი ფეხბურთის კლასის ამაღლება დაკავშირებულია არა მარტო კოლექტიური თამაშის კლასის შემდგომ ამაღლებაზე, არამედ მოთამაშეთა ინდივიდუალურ შემოქმედებაზეც, მოულოდნელი ტაქტიკური ამოცანების დამოუკიდებლად გადაწყვეტის უნარზეც.

**ბორის პაიჭაძე**

სსრკ-ის სპორტის დამსახურებული ოსტატი.

ფოტო ო. თურქიასი

დამცველი მოტყუებულია. წამიც და ავთანდილ ღოღობერიძე უკან ჩამოიტოვებს მოწინააღმდეგეს.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ანდაზები

**ჩინეთი**

ვეფხვზე შეჯდომა ადვილია, ჩამოსვლაა ძნელი.

**აფრიკა**

ანდე გიენას ჩირაღდანი მთელი ჯუნგლის გადასწვავს,
თუ გინდა, რომ ბავშვს ცურაობა ასწავლო, მდუღარეში ნუ ჩააგდებ.

**ბრაზილია**

როცა ღარიბი ქათამს ყიდულობს, ან ღარიბია ავად ან— ქათამი.

**არაბული ქვეყნები**

მხოლოდ შენი ფრჩხილით მოიფხან თავს გემრიელად.

**მექსიკა**

მექსიკას ერთი უბედურება სჭირს—ღმერთამდე მორსაა, აშშ-მდე ახლოს.

**ჟურნ. „დროშის“ № 5-ში მოთავსებული კროსვორდის პასუხი**

**ჰორიზონტალურად:**

1. ასტრა. 4. სერია. 9. არტემიდა. 10. ამუდარია. 12. ტუტე. 13. რემარკი. 14. აზრა. 17. ოდესა. 20. ლისტი. 21. ავიაცია. 22. ინტერნაციონალიზაცია. 24. ანშლუსი. 27. სმიტი. 28. კროსი. 33. რელე. 34. ოპიზარი. 35. კამო. 38. გრადაცია. 39. სახალინი. 40. აპისი. 41. ირანი.

**ვერტიკალურად:**

1. ალტიტუდა. 2. ტომი. 3. ანდორა. 4. სამაია. 5. რადე. 6. აკრობატი. 7. კანტი. 8. მარაო. 11. ტატრა. 15. ასპირანტი. 16. დინოზავრი. 18. ავიცენა. 19. ვიზარსი. 23. ამალგამა. 25. ლინზა. 26. ასტატინი. 29. ზრიგი. 30. მოტივი. 31. ვირაჟი. 32. ზორიო. 36. ბალი. 37. ლამა.

**ჟურნ. „დროშის“ № 2-ში მოთავსებული კროსვორდის პასუხი**

**ჰორიზონტალურად:**

1. ებანი. 6. გლიცერინი. 9. ბადრო. 10. მაუდი. 11. ნიამორი. 15. დოლაბი. 19. მდოგვი. 22. ბანდურა. 24. ზუჩი. 25. პიზა. 26. რაზმი. 27. ტვენი. 28. ნარი. 30. რამი. 31. მძევალი. 32. ავარია. 34. ვარძია. 38. ასპინძა. 39. ქლიბი. 40. მხალი. 43. არდაზიანი. 44. გალია.

**ვერტიკალურად:**

2. ბაცი. 3. ნერუ. 4. ალიონი. 5. ანემია. 7. მახრა. 8. მდელო. 12. მინდი. 13. ბონჩაროვი. 14. შვეიცარია. 16. ბადრაგი. 17. რაზმაძე. 18. მრთველი. 20. დივიზია. 21. უზანი. 23. ბადია. 29. სვავი. 33. რეალი. 35. რაბლე. 36. მაიორი. 37. სამანი. 41. ხახა. 42. ქიში.

# კროსვორდი



**ვერტიკალურად:**

1. გამოძახილი. ძალის ერთეული. 3. დაშავებულობა. 4. თუთიყუშის ჯიში. 5. მუსიკალური ნიშანი. 6. სამეფო კვერთხი. 7. ქალაქი ხაბაროვსკის მხარეში. 9. არტეზიული ჭის საკვლევ-საბურღი. 10. ბრტყელი და გრძელი მახვილი. 11. დადებითად ან უარყოფითად დამუხტული ატომი. 12. ტიტული ინდოეთში. 13. ქიმიური ხელსაწყო. 14. სურნელება. 15 იტალიელი კომპოზიტორი. 19. სამეტყველო ბგერის ნიშანი. 20. მდინარე ოკას მარცხენა შენაკადი. 22. კათოლიკური სასულიერო ორდენის წევრი. 23. მდინარე, რომელიც ჩადის ბალხაშის ტბაში. 24. ხელსაწყო ყრუთათვის 25. სვანური რიტუალური სიმღერა. 26. შტატი ამერიკაში. 29. რიცხვითი მაჩვენებელი. 30. ქალაქი კომის ასსრ-ში. 31. გამოჩენილი ფიზიკოსი. 32. ქსოვილი. 34. საშუალო სკოლის უკანასკნელი კლასის მოსწავლე. 35. საგნების მექანიკური შენაერთი. 36. შექსპირის ტრაგედიის გმირი. 37. სახელმწიფო აზიაში. 40. რაიონი სამეგრელოში. 41. მტაცებელი ფრინველი. 43. ქალაქი ურალში. 44. უსუნო, უფერო და უგემო გაზი. 46. აშშ-ის მკვიდრთა ზედმეტი სახელი შერქმეული ევროპელების მიერ. 47. შესასვლელი, დიდი კარი. 48. ქალაქი გერმანიაში. 49. წყლის სადენი საგანგებო თხრილი. 50. რომის დამაარსებელი, მითოლოგიური თქმულებით. 54. არქიტექტურული სტილი. 55. ბგერის შემსწავლელი დარგი. 57. ლიტერატურულ ნაწარმოებთა არაპერიოდული კრებული. 61. მდინარე სსრკ-ში. 62. თალი. 63. ფუჭი, უშედეგო.

**ჰორიზონტალურად:**

6. თამაშის სახე. 7. სიგრძის ეგვიპტური საზომი. 8. მცირე არია. 16. ჰიუგოს ნაწარმოების გმირი. 17. გეომეტრიული ტერმინი. 18. იალქნის დასამაგრებელი ძელი. 19. ერთხმიანი ვოკალური ნაწარმოები აკომპანიმენტით. 21. სამუსიკო ნაწარმოების შესრულების ნელი ტემპი. 27. პიროვნება, რომელიც უსამართლოდ იგდებს ხელში სახელმწიფოს მართვა-გამგეობას. 28. უძველესი ეგვიპტური დამწერლობა. 30. მომღერალი ფრინველი. 32. დიპლომატიური, წერილობითი მიმართვა. 33. ბერძნული ალფავიტის ბოლო ასო. 34. საერთო წესიდან გადახვევა. 38. ნოტი. 39. მუსიკალური პიესა, რომელსაც ოპერის აქტებს შუა ასრულებენ. 42. ონავარი მხეცი. 45. მლაშე ნიადაგი. 46. მდინარე სსრკ-ში. 51. ტყავის ქაღალდი. 52. სინათლის შემსწავლელი დარგი. 53. მაიგივებელი კავშირი. 54. ფრანგი მწერალი. 56. ფულის ერთეული ევროპაში. 57. სიტყვის წინსართი, რომელიც აღნიშნავს საწინააღმდეგოს. 58. ბგერათა თანმიმდევრული წყობა მუსიკაში. 59. მინერალური წყალი. 60. მდინარე სამხ. ევროპაში. 64. ქიმიური ელემენტი.

# უცხოური იუმორი



სიყვარული ბრმაა.



მე ვიცნობ ამ ფრინველს: მარჯვე მხერხავია. ცოტა კიდევ და...


რედაქტორი გრ. აბაშიძე

სარედაქციო კოლეგია: შ. ბუაჩიძე, შ. გვინჩიძე (პ/მგ. მდივანი), ი. გიგინეიშვილი, დ. დოლიძე, მ. საკაშვილი, ი. ციციშვილი, ვ. ჭელიძე, უ. ჯაფარიძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლეხანოვის პრ. № 91. ტელ. 3-96-38.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ფასი 3 მან.

გარეკანი და ჩანართი გვერდები დაბეჭდილია ფოტოცინკოგრაფიაში.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 14/VI-55 წ. გამომც. № 59. ქაღ. ზომა 70×108¹/₈. ნაბეჭდი ფურც. 3¹/₂. ტირაჟი — 15.000. შეკვეთის № 320. უე 03252

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Д р о ш а“ (на грузинском языке)



ეროვნული ბიბლიოთეკა


ეროვნული ბიბლიოთეკა

ნორჩი ნატურალისტები. ფოტოეტიუდი ვ. ჯირანოვისა.

გარეკანის პირველ და მეოთხე გვერდზე: კ. სანაძე. — მთის საძოვრებზე (სურათი წარმოდგენილია სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე).

ფასი 3 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

